საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №122 (2495) ხუთშაბათი, 29 მაისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

დღის ციტატა

ქვეყნის განწმენდის მრავალსახეობა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოებაში, სახელმწიფოში ჯანსაღი მორალური და ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, ერთის მხრივ, და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების, ბიუჯეტის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო, ეს მეორე მხრივ.

ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ჯახის და ყველა მოქალაქის ინტერესებშია, რადგან არ არსებობს ჭეშმარიტი დემოკრატია მაღალი ზნეობისა და მორალის გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა ძლიერი ბიუჯეტის, სწორი ფისკალური პოლიტიკის გარეშე.

ედუარდ შევარდნაძე,
1997 წლის 27 მაისს პარლამენტში წაკითხული პოლიტიკური მოხსენებიდან.

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

როგორც ვიუწყებოდით, 27 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტში გააკეთა მოხსენება საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. გთავაზობთ ამ დოკუმენტის პოლიტიკური ნაწილის ზოგიერთ დებულებას. მოხსენების სრული ტექსტი მოგვიანებით გამოქვეყნდება.

დაიწყო მუშაობა ახალი საქართველოს იდეური და სულიერი საყრდენების განმტკიცებისათვის

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ დაიწყო მუშაობა საქართველოს ეროვნული მსოფლმხედველობის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფციის შექმნისათვის. ახალ ქართულ სახელმწიფოს, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და ტრადიციებს ეყრდნობა, უდავოდ, უნდა ჰქონდეს მკაფიო ორიენტირები თავისი რაობის, თავისუფალი ხალხებისა და ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის, განვითარების გეზისა და მიმართულებათა თაობაზე ხილული და შორეული ისტორიული პერსპექტივისათვის. ჩვენ, თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, მიზნად როდი ვისახავთ რაიმე ფორმით შევქმნათ იდეოლოგიზებული და დოგმატური დოქტრინა და თავს მოვახვიოთ იგი საზოგადოებას. იდეოლოგიზებულ სახელმწიფოთა დრო წარსულს ჩაბარდა. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი. დემოკრატიულ საქართველოში ადამიანი არასდროს იქნება მიზნის მიღწევის საშუალება. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ მთელი პირდაპირობითა და სერიოზულობით: საქართველოში არასდროს არ იქნებიან პოლიტიკური პატიმრები, არ იქნება დევნა შეხედულებებისათვის, არ იქნება რელიგიური შეუწყნარებლობა. სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, უნდა გახდეს კეთილგანწყობისა და ძმური კონტაქტების გაღრმავების წინაპირობა ჩვენი მეგობრებისა და მეზობლებისათვის. კონსტიტუციაზე დაფუძნებულმა და კონსტიტუციიდან გამომდინარე მისმა პრინციპებმა კი საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს, ეროვნულ უმცირესობებს უნდა შეუქმნან საკუთარი პიროვნული და ეროვნული ღირსების, საკუთარი პიროვნული და ეროვნული იდეალებისა და მიზნების განხორციელების აბსოლუტური გარანტიის საფუძვლები, აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ის. მე-2 გვ.

პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

სტრატეგიული პარტნიორობა

– ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა განსაკუთრებულია, ჩვენს სახელმწიფოებს პრინციპულ საკითხებშიც თანხვედრი მოსაზრებები აქვთ და ორმხრივ ურთიერთობაში არანაირი პრობლემები არ არსებობს, – განაცხადა 28 მაისს ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფმა უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ალექსანდრე მოროზმა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე. საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლების თანამშრომლობის განვითარებას ხელს უწყობს, აგრეთვე ორი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა.

ალექსანდრე მოროზის აზრით, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის კონტექსტში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია ორი სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაერთობის განმსაზღვრელ ხელშეკრულებაზე მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე აგებული ურთიერთობა, ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, მოქმედებს და ყოველდღე ძლიერდება რეალური და კონკრეტული ნაბიჯებით. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის, თავდაცვის, ენერგეტიკის და სხვა პერსპექტიულ დარგებში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ორი სახელმწიფოს დაახლოების გზაზე. ამასთან, სატრანსპორტო დერეფანი საერთო ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება და არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა უკრაინის ხელისუფლებას მხარდაჭერისათვის.

* * *

გუშინვე უკრაინის უმაღლესი რადის დელეგაცია მისი თავმჯდომარის ალექსანდრე მოროზის ხელმძღვანელობით მიიღო საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

რანტია, ხოლო საქართველოსათვის შავი ზღვის ფლოტის კუთვნილი წილის გამოყოფის საკითხი ობიექტურად უნდა გადაწყდეს.

ორი სახელმწიფოს ურთი-

კორუფციის წინააღმდეგ

სამხერხაოს ხელმძღვანელს კონსერვატორიის დირექტორად აღარ ნიშნავენ...

„– ანეკდოტი არ გეგონოს: ოცდაათიანი წლების დამლევს ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორი სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორად მხოლოდ იმიტომ დანიშნეს, რომ კომუნისტი იყო. ალბათ, რამეს ეხერხებოდა და უყვარდა, მაგრამ მაინც, როგორც რიგითი დისციპლინიანი კომუნისტი, წავიდა იქ, სადაც „საქმემ მოითხოვა და საჭირო იყო“, – მითხრა ერთხელ ცხონებულმა დავით მელუხამ, როცა იგი გაზეთ „თბილისის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, მე კი – დამწყები კორესპონდენტი. მას შემდეგ თანამდებობაზე ახალდანიშნულ პირთან გასასაუბრებლად მისულს, ყოველთვის ეს მახსენდება. მაშინ დავითმა ისიც დასძინა, მადლობა ღმერთს, კადრების ამგვარ შერჩევას საჯაროობა და არჩევითობა წარსულს ჩააბარეს და პურს მეპურე გამოაცხობსო.

მახსენდება, მით უფრო დღეს, როცა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ახალგაზრდა კადრების დანიშვნის ტენდენცია დაიწყო. ცოცხალ მოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას, ახალგაზრდულ გონებასა და ენერგიას ფასი დაედო. ამიტომაც საუბრის დასაწყისში აუცილებლად ვინტერესდები ამ „ახლის“ გავლილი გზით და ისე ვასკვნი ხოლმე – იქნება იგი საქმისთვის თუ საქმე მისთვის. მართალია, ამით საფერი შეიცვლება, მაგრამ არც მე მექნება ფუჭი იმედი და არც სხვას დავაიმედებ.

ჩემი მასპინძელი შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ორი კვირის წინათ ცალკე მთავარ სამმართველოდ ჩამოყალიბებული კორუფციის და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, 34 წლის პოლიციის პოლკოვნიკი კახა ბაგურაძეა. განათლებით ეკონომისტ-იურისტი. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 23 წლისა, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ოპერმუშაკად მისულა. ყოფილა ოპერრწმუნებული და უფროსი ოპერრწმუნებული, განყოფილების უფროსის მოადგილე და განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი სამმართველოს უფროსი.

კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველო ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა (მანამდე იგი მთავარ სამმართველოში სამმართველოდ შედიოდა). მიზანი: ამ სამსახურის უფრო სპეციალიზება და მობილურობა. ერთი მიმართულებაც დაემატა – ანალიზისა და პროგნოზირების ფუნქცია. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ სამმართველო მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და იძლევა რეკომენდაციას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ

ის. მე-2 გვ.

ინფორმაცია

შეხვედრა ჟურნალისტებთან

ბოლო ხანს საქართველოში მომხდარმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა განსაზღვრა თემატიკა 28 მაისის პრესკონფერენციისა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა. პრესკონფერენცია გახსნა პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ, რომელმაც ამ მოვლენებს შორის განსაკუთრებით გამოყო დამოუკიდებლობის დღის ზეიმი და პარლამენტის 27 მაისის სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური მოხსენება, რომელშიც ყოველმხრივ იყო გაანალიზებული ამ ეტაპზე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

საქართველოს პრეზიდენტმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

პრესკონფერენციის ანგარიში გამოქვეყნდება.

იქმნება საკანონმდებლო ბაზა

28 მაისს მუშაობა გააგრძელა ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ.

დეპუტატებმა მეორე მოსმენით მუხლობრივად განიხილეს კანონპროექტები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების მეტანის შესახებ“.

პირველი მოსმენით განიხილეს კანონპროექტი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. კანონპროექტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა მისი მიღების აუცილებლობა არავის უგულებელუყვია.

ილია II: ამიერკავკასია სტაბილურობის რეგიონი უნდა გახდეს

სომხეთში ვიზიტად მყოფმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სასულიერო ლიდერებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რეგიონში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. ვიზიტის მიზანია ორი ქვეყნის ხალხების, ქართულ და სომხურ სამოციქულო ეკლესიებს შორის ძმური კავშირურთიერთობის განმტკიცება. ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი ხალხების, სახელმწიფოებისა და ეკლესიების ასეთი კავშირი, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სასულიერო ლიდერებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რეგიონში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ამიერკავკასია გახდეს სტაბილურობის რეგიონი, თქვა მან.

პოლიტიკურ სტატუსზე ვერ მორიგებულან

აფხაზეთიდან დაბრუნებული დამოუკიდებელი დამკვირვებლების აზრით, სეპარატისტული აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის არ არის ერთიანობა აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის თაობაზე.

სამაგიეროდ, ისინი ერთსულოვანნი არიან დევნილების დაბრუნება-არდაბრუნების საკითხში.

სეპარატისტთა ლიდერებს მიაჩნიათ, რომ ქართველების მიერ დევნილთა დასახელებული რაოდენობა რეალურს ბევრად აღემატება. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება მზადაა დევნილების დაბრუნების საკითხები ინდივიდუალური წესით განიხილოს. მათი აზრით, დევნილების დაბრუნების მთავარი პირობაა, მათი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

მათ შორის 40 მკვლელია

სოხუმის რადიოს ცნობით, დღეს აფხაზეთში 180 ბრალდებული იმალება. მათ შორის 40 მკვლელია, 25 – ყაჩაღური თავდასხმის მონაწილე. ამდენივე ძებნილი, რომელთაც გაუპატიურებისა და გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებაში ედებათ ბრალი, ემალება სამართალდამცავ ორგანოებს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ნარკომანია.

ენერგოკრიზისის დასაძლევად

ცხინვალის რეგიონში მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივის შესწავლის მიზნით, იმყოფება მოსკოვის კვლევითი ინსტიტუტის „ჰიდროპროექტის“ ექსპერტთა ჯგუფი.

ადგილობრივი ენერგეტიკოსების აზრით, რეგიონში ჰიდროელექტროსადგურების აშენების შესაძლებლობა ბევრია, მაგრამ პრობლემად რჩება მშენებლობის დაფინანსებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები.

მეზობელო კარისაო...

სომხეთთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, აღდგენილია საქართველოს სომხეთთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზი, რომლითაც ყოველ დღე-ღამეში მოდის 12 მეგავატამდე ელექტროენერგია. იგი ხმარდება უმთავრესად რკინიგზას, რუსთავისა და გარდაბნის წყალსაცავებს.

საქართველოს ენერგოსისტემა პარალელური რეჟიმით მუშაობს, აგრეთვე, აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან, საიდანაც ყოველ დღე-ღამეში 2,6 მილიონ კილოვატსაათს იღებს, ეს ენერგია ირიცხება ვალად, რომელსაც ენგურჰესის მუშაობის განახლების შემდეგ დავუბრუნებთ.

გამოცხადდება მადნეულის ტენდერი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან არსებულმა წიაღთსარგებლობის უწყებათაშორისმა საბჭომ სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ სახელზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ხელახალი სახელმწიფო რეგისტრაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ქონების მართვის სამინისტროს 28 მაისის ბრძანებულებით „მადნეულის“ გენერალურ დირექტორს დაევალა უზრუნველყოს ტენდერის ორგანიზება სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ ძირითადი ფონდების განახლებისათვის ინვესტიციების მოსაზიდად. ტენდერთან დაკავშირებით დეტალები მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე გამოცხადდება „საქართველოს რესპუბლიკაში“.

კიდევ ერთი ჭორი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, ნათქვამია: თბილისსა და საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას შემწეობის თანხების ხარჯზე მიეცემათ ლატარიის ბილეთები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრესცენტრი კატეგორიულად აცხადებს, რომ მსგავსი ხასიათის ღონისძიებები მიუღებელია და ყოველი ფაქტი გახდება მინისტრთა საბჭოს მკაცრი მსჯელობის საგანი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა – საქინფორმმა, „იბერიამ“.

დღესასწაული

სარკეებიან დარბაზში

28 მაისს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სარკეებიან დარბაზში საქართველოში აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჰაჯან ჰაჯიევის სახელით გაიმართა დარბაზობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად.

ჰაჯიევის განცხადებით, საუკუნის დასაწყისში, სწორედ ამ დარბაზში შეიკრიბა აზერბაიჯანის პარლამენტი და აქ გამოაცხადა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა.

დარბაზობაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ქართველი ხალხის სახელით მიულოცა აზერბაიჯანელ ხალხს ეროვნული დღესასწაული.

მსურს სიამაყით განვაცხადო, – თქვა მან, – რომ აქ, თბილისში, მე და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას მშვიდობიანი კავკასიის შესახებ, რითაც საფუძველი ჩაეყარა რეგიონში მშვიდობიანი თანაცხოვრების ჩამოყალიბების პროცესს.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

კაზაკთა მხარდაჭერა

28 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფი უცხოეთისა და რუსეთის კაზაკთა გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვალერი კამშილოვი თანმხლებ პირებთან ერთად.

სტუმრებმა პრეზიდენტს გაუზიარეს მოსაზრება უახლოეს მომავალში საქართველოში სამხრეთ რუსეთის რეგიონების კაზაკთა ატამანების საბჭოს გამართვის თაობაზე. აღინიშნა, რომ საბჭოზე განიხილავენ როგორც აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებს, ასევე კავკასიაში შექმნილ ვითარებას. ვალერი კამშილოვმა დაადასტურა პატივისცემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და მხარი დაუჭირა აფხაზეთიდან ლტოლვილების საკუთარ მიწა-წყალზე მშვიდობიანი დაბრუნების პროცესის დაჩქარებას, რაშიც, როგორც მან განაცხადა, კაზაკთა მოძრაობას სურვილი აქვს დაეხმაროს საქართველოს.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოწონებით შეხვდა ატამანთა საბჭოს გამართვის ინიციატივას, ხელისუფლების სახელით სტუმრებს საბჭოს სათანადო დონეზე გამართვის ორგანიზება აღუთქვა და მადლობა გადაუხადა კაზაკთა მოძრაობის ხელმძღვანელებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში სოლიდარობისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს კაზაკთა კავშირის თავმჯდომარე ვასილ კადენეცი.

დაფასებული მოღვაწეობა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელს, თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, ცნობილ ბიზნესმენს სიმონ ზაზაძეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობისათვის მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

სიმონ ზაზაძე ამჟამად თურქეთში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ქართული კათოლიკური მონასტრის მეთვალყურეა. მან ახლახან საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა საფრანგეთში შეძენილი მე-16-17 საუკუნეების სამი ქართული ხელნაწერი, მათ შორის, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“.

28 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სიმონ ზაზაძეს საპატიო მოქალაქის წოდების დამადასტურებელი ატრიბუტიკა გადასცა. – ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას, თქვენს დიდ დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე, – განაცხადა პრეზიდენტმა, – აგრეთვე განსაკუთრებულ როლს საქართველო-თურქეთის მეგობრობის განმტკიცებაში.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საქინფორმი.

ეროვნული თანხმობისაკენ

რაც მტრობას დაუნგრევია...

ხალხთა ურთიერთობებში ხშირად იგივე ხდება, რაც ცალკეულ პიროვნებებს შორის, ოღონდ ეს არის – ხალხებს შორის უნდობლობის, მტრობის, შედეგების შედეგების აღმოფხვრას აუცილებლად მეტი სიბრძნე, ძალისხმევა და დრო სჭირდება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. საბედნიეროდ, ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე, ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობებში სულ უფრო დომინირებს ჰუმანური ტენდენცია. ამის მაგალითია თანამედროვე ევროპული საზოგადოების ინტეგრაციის პროცესი.

აფხაზურ-ქართული შეიარაღებული კონფლიქტი არ წარმოშობილა სუფთა ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე, იგი საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის გაგრძელება იყო, ომისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა და ოსტატურად გამოიყენა რუსეთის იმპერიულმა ძალებმა. სამწუხაროდ, ეს კონფლიქტი დღემდე გრძელდება... აფხაზი ხალხი რუსეთის იმპერიის ხელში იქცა იარაღად დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს წინააღმდეგ. აფხაზური და ოსური სეპარატიზმის შირმით რუსეთი ებრძოდა და ებრძვის საქართველოს, რათა დააჩოქოს იგი და თავისი გავლენის სფეროში იყოლიოს. აქვს თუ არა პერსპექტივა ასეთ პოლიტიკას? – ეს სხვა საკითხია.

ის. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

კიევი. გუშინ კიევში ჩავიდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე ვიქტორ ჩერნომირდინი. ვიზიტის მთავარი მიზანია, მოამზადოს 30-31 მაისს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის სახელმწიფო ვიზიტი, რომლის დროსაც ხელი უნდა მოაწერონ ფართო მასშტაბის ხელშეკრულებას ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ტალინი. ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა, რომლებიც სამშაბათს ერთმანეთს შეხვდნენ ტალინში, შეხვედრის შედეგების გამო მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უშიშროების ცნება გულისხმობს თითოეული სახელმწიფოს უფლებას დამოუკიდებლად ირჩევდეს საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებებს, კერძოდ, ირჩევდეს სტრუქტურებსა და სახელშეკრულებო ორგანიზაციებს. ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, უკრაინისა და ესტონეთის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გახდნენ ნატოს წევრები. მათი აზრით, ეს ორგანიზაცია ღია უნდა დარჩეს ყველა ქვეყნისათვის, რომლებსაც სურთ მასთან შეერთება.

ბაქო. გუშინ აზერბაიჯანმა რესპუბლიკის დღე იზეიმა. იგი უკვე მეექვსედ აღინიშნა ქვეყანაში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის წლისთავის დღეს. ბაქოში თავისუფლების მოედანზე გაიმართა სამხედრო-სპორტული პარადი.

პარიზი. გუშინ უკანასკნელად გაიმართა ალენ ჟიუპეს მთავრობის სხდომა, რომელიც გადადგება საფრანგეთის ეროვნული კრების ვადამდელი არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს იგი.

რომი. სოციალისტური პარტია – ალბანეთის ოპოზიციის მთავარი ძალა მონაწილეობას არ მიიღებს 29 ივნისისათვის დასახულ პარლამენტის არჩევნებში, თუ არ გაუქმდა მარტის დამდეგიდან ქვეყანაში მოქმედი საგანგებო წესები, ეს განაცხადეს სოციალისტთა ხელმძღვანელებმა თავიანთ მომხრეთა მიტინგზე, რომელიც სამშაბათს საღამოს გაიმართა ტირანის სტადიონზე.

„ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი“

ედუარდ შევარდნაძე: „პოლიტიკური პლურალიზმი არა მარტო დემოკრატიის ნიშანი, არამედ მისი განვითარების აუცილებელი პირობაცაა“

ასე განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და გაიხსენა მის მიერ რესპუბლიკის მოედანზე 1992 წელს საჯაროდ გამოცხადებული „შერიგების მანიფესტი“. მაშინ ეს მანიფესტი საზოგადოებამ გარკვეული იმედით მიიღო, თუმცა, გამოიძებნენ სკეპტიკოსებიც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სამოქალაქო მშვიდობა და საყოველთაო შერიგება შეუძლებელია. ნაწილობრივ ეს სიფრთხილე უსაფუძვლო არ ყოფილა. გავიდა დრო და მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ტელევიზიის შენობას. ეს ავანტიურა, რა თქმა უნდა, ჩაიშალა ისევე, როგორც ჩაიშალა, მარცხით დასრულდა სამოქალაქო ომის წამქეზებელთა სისხლიანი ლაშქრობები. ამის მიუხედავად, თვით მანიფესტის იდეებმა, მისმა დებულებებმა იმოქმედეს, განსაკუთრებით ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში. მაგრამ, შენიშნა ედუარდ შევარდნაძემ, აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული ეროვნული და საერთო-სახელმწიფოებრივი ზავი. საზოგადოების გათიშულობისა და დაპირისპირების კვალი იმდენად ღრმა იყო, რომ მისი დაძლევა დროს, მოთმინებას, სახელმწიფოს გაძლიერებას, ცხოვრების დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებას მოითხოვდა. ამ თვალსაზრისით, აღნიშნა პრეზიდენტმა, ჩვენ უმოკლეს ვადაში გადავდგით ისტორიული ნაბიჯები. მისი ღრმა რწმენით, მოვიდა დრო, კვლავ დავაყენოთ დღის წესრიგში საბოლოო ეროვნული შერიგების, საზოგადოებაში აგრესიული ანტაგონიზმის დაძლევის პრობლემა. ლაპარაკიც კი ზედმეტია პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების ნიველირებაზე. პოლიტიკურ მოძრაობათა მრავალფეროვნება, პოლიტიკური პლურალიზმი არის დემოკრატიის არა მარტო ნიშანი, არამედ აუცილებელი პირობაც მისი განვითარებისათვის. მე, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ვგულისხმობ მტრული ანტაგონიზმის დაძლევას და არსებულ წინააღმდეგობათა გადატანას პოლიტიკური პაექრობის, პოლიტიკური პლურალიზმის სფეროში. ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დროა ბოლო მოვუღოთ საზოგადოების ეგრეთ წოდებულ „ზვიადისტებად“ და „შევარდნაძისტებად“ დაყოფის პროცესს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯს შერიგებისა და ეროვნული თანხმობის, ნდობისა და ურთიერთგაგებისაკენ. იგი არის თანამშრომლობის მომხრე იმ პირობით, თუ ყველა დაიცავს კონსტიტუციას, მოუფრთხილდება დემოკრატიულ მონაპოვარს და, ამავე დროს, იშრომებს და იბრძოლებს საქართველოს კეთილდღეობისათვის. მე ხელს ვუწვდი ყველას, ვინც იზიარებს ამ პრინციპს. პრაქტიკულ ნაბიჯებსაც პირველი გადავდგამ, თქვა დასასრულ ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპები

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე მზად არის დაუყოვნებლივ განაახლოს ყველა დონის მოლაპარაკება, მათ შორის ორმხრივი ქართულ-აფხაზური დიალოგი. მან ჩამოაყალიბა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპები.

ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთს ექნება უფართოესი ავტონომია, როგორსაც კი თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები ითვალისწინებენ.

ლტოლვილთა დაბრუნება მოხდება ეტაპობრივად, მაგრამ შემჭიდროებულ ვადებში, ამ უდიდესი აქციისათვის მატერიალური, ფინანსური ბაზის მომზადების კვალობაზე, ერთობლივი ღონისძიებებით, რეგიონში წესრიგის აღდგენის პარალელურად.

მივაღწევთ მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნებისაგან აფხაზეთის ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის. ასეთი წანამძღვრები უკვე არსებობს.

დავასრულებთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა-განვითარების სამუშაოებს, რის შემდეგაც, აფხაზეთი, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონები, სტაბილურად იქნება მომარაგებული ელექტროენერგიით.

ლტოლვილების მასობრივი დაბრუნების კვალობაზე, დაჩქარებული ტემპით წარიმართება რუსეთისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზისა და ავტომაგისტრალის აღდგენა, რაც მგზავრთა გადაყვანას და დიდ ტვირთზიდვას შეუწყობს ხელს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და პირიქით. აღსანიშნავია ამ მაგისტრალის აღდგენით რუსეთის, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი რეგიონების დაინტერესება. ეს დიდ შემოსავალს მოუტანს აფხაზეთს, ისევე როგორც, საქართველოს სხვა რეგიონებს, სომხეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს, მრავალ სხვა ქვეყანას.

შეიძლება განვიხილოთ საკითხი იმ ადამიანთა მიმართ, საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შესახებ, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში.

ვარიანტი, რომელიც ვლადისლავ არძინბამ თავის ბოლოდროინდელ საჯარო გამოსვლებში შემოგვთავაზა, იგი კი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს რუსეთ-ჩეჩნეთის ხელშეკრულების მოდელის გამოყენებას, მიუღებელია. ჩეჩნეთისა და აფხაზეთის პრობლემები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლისათვის იბრძვის. აფხაზი ლიდერები კი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ცდილობენ, რაც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში წარმოუდგენელია.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით, ლტოლვილთა დამოკიდებულება აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო ძალების მიმართ უკიდურესად უარყოფითია. თუ დარჩენილ დროში არ შესრულდება თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილება, საკონტროლო ზონის გაფართოების და ამ ზონაში ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ, სამშვიდობო ძალების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. მე არ ვფიქრობ, რომ მათ გასვლას საომარი მოქმედების ფატალური განახლება უნდა მოჰყვეს. უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება. აფხაზებს ომი არ სურთ, ეს მათთვის თვითმკვლელობაა. ომი არც ჩვენ გვინდა, გვეყო ამდენი მსხვერპლი და ნგრევა. გამოსავალი ერთია: დაიწყოს აქტიური შერიგების პროცესი ქართველებსა და აფხაზებს შორის.

სამშვიდობო ძალების გასვლისთანავე ან მანამდეც, შესაძლებლად მიმაჩნია სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ეუთოს და „საქართველოს მეგობარი“ ქვეყნების წარმომადგენლები. არ გამოვრიცხავ ასეთ კონფერენციაში თანამეგობრობის იმ ქვეყნების მონაწილეობას, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ. მეთვალყურეთა ხარისხით კონფერენციაზე შეიძლება მოვიწვიოთ ჩრდილო კავკასიის ხალხების იმ ლიდერების წარმომადგენლები, რომლებმაც 1992 წლის სექტემბერში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებთან, ვლადისლავ არძინბასთან ერთად ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას.

რუსეთის სამშვიდობო მისია ასეთი შეკრების ორგანიზაციის პირობებში არათუ შემცირდება, არამედ პირიქით — გაიზრდება კიდეც. რუსეთს შეუძლია იკისროს შეხვედრის მთავარი ორგანიზატორისა და, თუ გნებავთ, კონფერენციის მონაწილეთა მასპინძლის როლი.

ორი ხალხის შერიგებას ალტერნატივა არ გააჩნია. ამავე დროს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს არც ერთი თაობა, არავითარ პირობებში არ შეეგუება ქვეყნის გახლეჩას და ყოველგვარი ქმედება მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით საერთაშორისო ნორმების ფარგლებში მოთავსდება.

დადგა ქართულ-ოსური დიალოგის გააქტიურების დრო

რაც შეეხება ქართულ-ოსური კონფლიქტის საკითხს, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ამ ტრაგედიის ჭენეზისი განსხვავდება აფხაზეთის კონფლიქტისაგან. სიმართლე განკურნების აუცილებელი პირობაა. რა თქმა უნდა, ორივე მხარემ გამოიჩინა სისასტიკე, დაუნდობლობა. ოსი მოსახლეობა დაზარალდა თბილისში, ბორჯომის ხეობაში, ქართლის ზოგიერთ რაიონში. მსურს სწორად გამიგოთ, ეს არის სამარცხვინო ლაქა ჩვენს სინდისზე. ამავე დროს, პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ ვლადიკავკაზში, სადაც იმყოფება ლტოლვილთა ძირითადი მასები, ცხოვრობს რამდენიმე ათასი ქართველი, მოქმედებს ქართული სკოლა, არც ერთ ქართველს, თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოვარდნია. ესეც ფაქტია, ესეც სიმართლეა.

ამავე დროს, როგორც ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, არის გარკვეული წინსვლა კონფლიქტის მოწესრიგებაში. რუსეთის დიპლომატიამ, სამშვიდობო ძალებმა, აფხაზეთის კონფლიქტისაგან განსხვავებით, ბევრი რამ გააკეთეს სასიკეთო პროცესის დაწყებისათვის. ორ ძირითად დოკუმენტს ხელს აწერს პრეზიდენტი ბორის ელცინი, შედეგიანად გვეხმარება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მრავალი სასარგებლო მოსაზრება გამოითქვა ვლადიკავკაზში ლუდვიგ ჩიბიროვთან შეხვედრის დროს, ბევრი კარგი სიტყვის თქმა შეიძლება ალსარბეკ გალაზოვზე. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მოსახლეობაში დაიწყო შერიგების პროცესი, დაიწყო ქართველთა და ოსთა სულიერი ნათესაობის საუკეთესო ტრადიციათა აღდგენა. ვფიქრობ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, მომწიფდა პირობები უფრო აქტიური დიალოგისა და მოქმედებისათვის. ჩემთვის არავითარი პრობლემა არ არის ცხინვალში ჩასვლა, და ყველა მტკივნეული საკითხის ერთობლივი განხილვა. რა თქმა უნდა, ჩვენ მივესალმებით ლუდვიგ ჩიბიროვის ჩამოსვლას თბილისში. პრეზიდენტის აზრით, ასეთი რეგულარული კონტაქტები გააიოლებს დიალოგს და, საბოლოო ანგარიშით, ამ რეგიონის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

ედუარდ შევარდნაძე მიესალმება მშვიდობიანი კავკასიისათვის გამიზნულ ყველა ინიციატივას

თავის მოხსენებაში საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ მოძრაობის მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ მშვიდობიანი კავკასიის პრობლემები კომპლექსურად აისახა თბილისისა და კისლოვოდსკის დეკლარაციებში. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის მიმდინარე წლის მარტის სამიტზე მან გამოთქვა ინიციატივა ოთხი სახელმწიფოს — რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ახალი შეხვედრის ორგანიზების შესახებ. რეაქცია დადებითი იყო. საქართველოს პრეზიდენტმა კვლავ შეახსენა კოლეგებს, რომ მოხარული იქნება, თუ ეს შეხვედრა თბილისში გაიმართება. ამავე დროს, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ კავკასიაში არსებულ პრობლემათა ამოწურვა შეუძლებელია მარტო უმაღლესი დონის შეხვედრებით. საქართველოში დაიწყო ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა კავკასიის ხალხების დაახლოებისა და დამეგობრებისათვის. პრეზიდენტთან მოქმედებს სპეციალური კომისია, რომლის მხედველობის არეშია კულტურული, სამეცნიერო, ეკონომიკური კავშირების განვითარების კონკრეტული საკითხები. აქტიურად მუშაობენ საპარლამენტო კომიტეტები, ცალკეული პარლამენტარები. მაგრამ, როგორც ედუარდ შევარდნაძე ფიქრობს, ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. ამ პროცესში უნდა ჩაებან სამინისტროები და უწყებები, მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სასწავლებლები, რეგიონები.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია — ვიცხოვროთ მეგობრულად ყველა ქვეყანასთან და ყველა ხალხთან

საქართველოს პრეზიდენტი შეეხო ევროპის ორგანიზაციებსა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას, და აღნიშნა, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში და ქვეყნის ცალკეულ პოლიტიკოსთა შორის ასეთი პროცესის მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება — ან რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ან ევროპა. ასეთია მათი რადიკალურად გამოკვეთილი პოზიცია.

უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი ადამიანი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი მენტალიტეტის, უმნიშვნელოვანესი მსოფლიო პროცესების მიმართ იდეოლოგიზებული მიდგომისაგან. მტრის ხატი, რომელიც ტოტალიტარიზმის წლებში დასავლეთთან იყო ასოცირებული, კვლავ მოქმედებს. საქართველო ყველა ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. ჩვენ გაერთიანდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ხელი მოვაწერეთ რუსეთთან ფუნდამენტურ შეთანხმებათა მთელ პაკეტს, რაც, საბოლოო ანგარიშით, ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპებზე მიგვანიშნებს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანასთან შექმნილია ურთიერთობის მტკიცე სამართლებრივი ბაზა, მრავალ მათგანთან საქართველო განსაკუთრებულ ორმხრივ ურთიერთობას აშენებს.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია ვიცხოვროთ მეგობრულად ყველა ქვეყანასთან და ყველა ხალხთან.

ჩვენ, თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, მივესალმეთ, როცა რუსეთმა ხელი მოაწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან, გახდა ევროსაბჭოს წევრი, დაძლია ცნობილი წინააღმდეგობანი ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ რუსეთის ინტეგრირება ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ის სასიკეთო მოვლენაა, რომელიც „ცივი ომის“ დასრულებამ მოიტანა. მაგრამ იბადება ასეთი კითხვა: რატომ უნდა აეკრძალოს საქართველოს იაროს იმავე გზით, რომლითაც რუსეთის და სხვა ქვეყნები მიდიან? რატომ არ უნდა ჩაეწეროს საქართველო იმ ერთიან ეკონომიკურ, სამართლებრივ, მსოფლმხედველობრივ სივრცეში, რომელიც გადაჭიმულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. პირიქით, ვფიქრობ, რომ ჩვენი და ჩვენი მეგობრების ინტერესებს შეესაბამება დაჩქარდეს საქართველოს ინტეგრირება ევროპასთან. ჩვენი ამოცანა ის არის, აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ დავაჩქაროთ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება ყველა სფეროში.

ედუარდ შევარდნაძემ დაადასტურა საქართველოს პრეტენზია შავი ზღვის ფლოტის წილზე

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ რუსეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოსთან გქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და, ამავე დროს, უგულებელყოფდე მის სამართლიან მოთხოვნებს. ასე მოხდა საქართველოდან სამხედრო ტექნიკის, თვითმფრინავების პარკის, საჰაერო თავდაცვის საშუალებათა გატანის დროს. ასე ხდება დღესაც, როცა საქართველოს არ თვლიან პარტნიორად შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პროცესში, თუნდაც იმ ხომალდების დაბრუნების პერსპექტივით, რომელთა ბაზირების ადგილად ქალაქ ფოთის ნავსადგური იყო, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ვიზიტი

საქართველო-უკრაინა: კავშირი გულთა შორის

27 მაისს, გვიან საღამოს, თბილისში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსულმა უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარემ ალექსანდრე მოროზმა გუშინ პატივი მიაგო 9 აპრილს დაღუპულ ქართველ მამულიშვილთა ხსოვნას და მათი მემორიალი უკრაინის უმაღლესი რადის სახელით გვირგვინით შეამკო.

საქართველოს პარლამენტში საპატიო სტუმრებს მიესალმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელმაც აღნიშნა საქართველოს უკრაინასთან ურთიერთობის მნიშვნელობა, როგორც ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოსთან — უაღრესად დიდ როლს რომ ასრულებს რეგიონში სტაბილიზაციის, მშვიდობიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ალექსანდრე მოროზმა.

— ჩემთვის დიდი პატივია გამოვიდე საქართველოს პარლამენტში თქვენს წინაშე — თავისუფლებისმოყვარე ნათელი სულის მქონე, სტუმართმოყვარე და უკრაინისადმი მეგობრულად განწყობილი ქართველი ხალხის რჩეულთა წინაშე, — განაცხადა მან.

სტუმარმა ილაპარაკა უკრაინისა და საქართველოს მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელსაც უძველესი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს.

ამჟამად უკრაინასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ორივე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოები.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კიევში ვიზიტის დროს ამა წლის თებერვალში, სხვა შეთანხმებით დოკუმენტებს შორის, ხელმოწერილი იქნა სამთავრობათშორისო კონვენცია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე. მისი რატიფიკაცია დიდად წაადგება უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთხელსაყრელ ვაჭრობას. ბატონ მოროზის განცხადებით, ამჟამად უკრაინის პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა, რათა ამ უაღრესად საჭირო დოკუმენტმა რაც შეიძლება მალე გაიაროს შესაბამისი პროცედურა უმაღლეს რადაში.

საპატიო სტუმარმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია კიევში.

28 მაისს გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარეს შორის.

„უკრაინას სჭირდება სტაბილური, აყვავებული საქართველო, ისევე, როგორც საქართველოს სჭირდება სტაბილური და აყვავებული უკრაინა“, — აღნიშნა ბატონმა ალექსანდრე მოროზმა. მან ვრცლად ისაუბრა უკრაინაში ბოლო წლებში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობაზე.

„თქვენი გამოცდილების გაანალიზებისას დავრწმუნდი, რომ აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე“, — განაცხადა უმაღლესი რადის თავმჯდომარემ.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ სტუმრებს გააცნო ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში მიღწეული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები.

კავკასიის სატრანსპორტო დერეფანზე და „აბრეშუმის გზის“ აღდგენის შესახებ საუბრისას ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ხაზი გაუსვა ამ პროექტში უკრაინის მონაწილეობის მნიშვნელობას. ითქვა, რომ ბოლო დროს ყოველთვიურად იზრდება ტვირთბრუნვა საქართველოსა და უკრაინას შორის, რაც სამომავლოდ კარგ პერსპექტივას ქმნის.

ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით გამოყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. ითქვა, რომ უკრაინა ყველა დონის შეხვედრაზე აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს პოზიციას კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. რუსეთის სამშვიდობო ძალების საერთაშორისო კონტინგენტით შეცვლის საკითხის დაყენების დროს დიდი მნიშვნელობა ექნება უკრაინის აქტიურად ჩართვას. „უკრაინას ჩვენ ვაფასებთ, როგორც სრულიად [illegible] ფაქტორს, დიდ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს რეგიონში სტაბილურობის დამყარებაში“, — განაცხადა ბატონმა ზურაბ ჟვანიამ.

* * *

28 მაისს უკრაინის უმაღლესი რადის დელეგაციის წევრები შეხვდნენ საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებს.

* * *

28 მაისს საქართველოს პარლამენტში გაიმართა საქართველოს პარლამენტსა და უკრაინის უმაღლეს რადას შორის თანამშრომლობის გაღრმავების დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონია. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ და უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარემ ალექსანდრე მოროზმა.

* * *

გუშინვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და უკრაინის უმაღლესი რადის თავმჯდომარემ ალექსანდრე მოროზმა პრესკონფერენცია გამართეს.

საქინფორმი

კორუფციის წინააღმდეგ

სამხერხაოს ხელმძღვანელს კონსერვატორიის დირექტორად აღარ ნიშნავენ...

იმ სფეროში შექმნილ ვითარებას. ამის პრაქტიკა მათ აქვთ. ამგვარი წინასწარი პროგნოზირება, შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ჯერ კიდევ იმ დროს დაწერა, როცა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მთავარ სამმართველოში არის ყალბ ფულთან და ფასიან ქაღალდებთან მებრძოლი განყოფილება. ყალბი ფულის მიმოქცევა ქვეყნის ეკონომიკას უთხრის ძირს, იგი მსოფლიოს პრობლემაა. ჩამოსულან ამას წინათ, ამ საკითხთან დაკავშირებით, მათი კოლეგები თურქეთიდან, გერმანიიდან და ამერიკიდან. განცვიფრება ვერ დაუფარავთ, როცა მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამარა შესრულებული უზარმაზარი სამუშაო უნახავთ.

— ჩვენ მათ ზუსტად დავუსახელეთ ზოგიერთ ქვეყანაში ვინ, სად ბეჭდავდა ყალბ ფულს.

ერთი სიტყვით, მივეცით ისეთი ინფორმაცია, რომელსაც ისინი არ ფლობდნენ, — თქვა პოლკოვნიკმა კახა ბაკურაძემ და დასძინა, რომ შარმანტელთან შედარებით დანაშაულის გამოვლენის ტენდენცია მატულობს. იგი 108 ერთეულით არის გაზრდილი და ძირითადად მიმართულია ეკონომიკურ სფეროში დამნაშავეთა ჯგუფების, კორუფციის კლასიკური მაგალითების გამოსავლენად.

— სამწუხაროდ, ამგვარ საქმეებში მეწარმეები და თანამდებობის პირებიც არიან ჩათრეულნი, — მიპასუხა ბატონმა კახამ, როცა ვკითხე, მეწარმეებს ხომ არ ავიწროებთ, რა უფლებებით სარგებლობთ მუშაობისას-მეთქი, — ჩვენი სამმართველო ხელს უწყობს სუფთა და კანონიერი ბიზნესის განვითარებას. დამნაშავეებს ვებრძვით, რათა ყველა მეწარმე თანაბარ პირობებში ჩადგეს.

შემოაქვს ბიზნესმენს კონტრაბანდული პროდუქცია. ბუნებრივია, ამით თავს არიდებს გადასახადს, რომელსაც იმპორტირებულ აქციზურ საქონელზე ითხოვს სახელმწიფო და იაფად შემოტანილს ბაზარში იაფადვე ჰყიდის. კანონიერი გზით მოსარგებლე და საკმაოდ დაბეგრილი პატიოსანი ბიზნესმენი კი იაფად ვერ გაყიდის — გაკოტრდება. ამიტომ ვეღარც კონკურენციას უწევს „მეიაფეს“ და წაგებული რჩება.

რამდენიმე ასეთი მეწარმე უკვე ვამხილეთ. ვებრძვით სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს, ბიუჯეტის კუთვნილს ჯიბეში რომ იდებენ, ვიკვლევთ პრივატიზაციის სფეროში ჩალის ფასად გაყიდული ქონების კანონიერებას და ა. შ.

უფლებებს კი აწესრიგებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და „კანონი პოლიციის შესახებ“, რომლის თანახმადაც ღონისძიებებს ვახორციელებთ მხოლოდ გადამოწმებული, დაზუსტებული მამხილებელი მასალების შეგროვების შემდეგ. ვარაუდით ან ეჭვით არავის ვაწუხებთ. ჯერჯერობით ამგვარი ფაქტი არ ყოფილა, და გარწმუნებთ, არც იქნება. ამის მაკონტროლებელი მექანიზმიც არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

კახა ბაკურაძე ამ კუთხით შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულ თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმის გახსნის აქტიური, მთავარი მონაწილეა. ჩაბმული იყო „კრედიტების საქმის“ გახსნაში, რემი ვამაკიძის, ფოთის საბაჟოს, ჯანდაცვის სარეალიზაციო ბაზის უფროსებისა და სხვათა დანაშაულის მოკვლევაში.

კორუფციის კლასიკურ მაგალითად თვლის ფოთის საბაჟოს საქმეს, იგი საერთაშორისო დონის დანაშაულად მიაჩნია.

— საერთაშორისოა, რადგან დაიწყო ერთ ქვეყანაში — ბულგარეთში, გაგრძელდა მეორეში — საქართველოში და დამთავრდა მესამეში — რუსეთში, რაც შეეხება თვით დანაშაულს, არსებობს „კანონი ინვესტიციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც შეიძლება ჩამოყალიბდეს საინვესტიციო საწარმო. წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ ამ გზით პირთა ჯგუფმა წინასწარი შეთანხმებით შექმნა საინვესტიციო საწარმო — ოზურგეთის სავაჭრო სახლი, რომელიც რეგისტრაციაში გატარდა ოზურგეთში და მფლობელად გაფორმდა იქაური მცხოვრები. იგივე ჯგუფმა, კვლავ წინასწარი შეთანხმებით, ფოთის საბაჟოში ბულგარეთიდან შემოიტანა სიგარეტი. შეადგინეს ყალბი დოკუმენტები, ვითომ ფოთის წისქვილკომბინატში შეეიდა ნედლეული, რისგანაც თითქოს ადგილზე მზადდებოდა სიგარეტი. ასევე გაკეთდა ყალბი სერტიფიკატი, ვითომდა საქართველოში დამზადებული ბულგარული წარმოების სხვადასხვა სიგარეტის რუსეთში გასატანად.

ეს გზა იმისთვის დასჭირდათ, რომ „კანონი ინვესტიციების შესახებ“ არ ბეგრავს ინვესტირებული საწარმოსთვის შემოსულ ნედლეულს, მასალებსა და დანადგარებს. სინამდვილეში კი, კონტრაბანდული გზით ფოთის საბაჟოში 24 კონტეინერი ნედლეული კი არა, ბულგარული სიგარეტი შემოვიდა.

რას არ მოიფიქრებს კაცის გონება?

ბატონ კახასთან საუბრისას შევიტყვე, რომ ამჟამადაც მეტად სერიოზულ დანაშაულს არიან ჩასაფრებული. პროფესიული სიფრთხილე არ დავიწყნია და, ამდენად, მიახლოებითაც ვერ დავკვალიანდი ვინ ჰყავთ „გაბმული მახეში“. მხოლოდ ეს მითხრა, ხალხში რომ მაღალ ჩინოსანთა კორუმპირებულობაზე ლაპარაკობენ, კვალს ნაბიჯ-ნაბიჯ მათკენ მივყავართ და საბოლოოდ ვისაც ვამხელთ, პირველ ინტერვიუს უთუოდ თქვენ მოგცემთო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული პროგრამა აქვს შემუშავებული, რომელიც 2000 წლამდეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, თავისი საკუთარი სამუშაო პროგრამა აქვს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოს, რომელსაც, როგორც ზემოთ ვთქვი, სულ ორი კვირაა, რაც ახალგაზრდა კაცმა კახა ბაკურაძე ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე უკვე გამოვლინდა და გადაეცა გამოძიებას. ანტიკორუფციული პროგრამის წარმატებით განხორციელება ახლა მასზე და მის ბიჭებზეა დამოკიდებული.

გულიანი კაცი ჩანს, ახლებურად მოაზროვნე, მოუსვენარი და მაძიებელი. ეს კი საქმის წინსვლის უტყუარ იმედს იძლევა.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული თანხმობისაკენ

რაც მტრობას დაუნგრევია...

რუსეთი საბჭოური იმპერიალიზმის მანძილზე ნერგავდა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ სეპარატიზმს და ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. სწორედ ამ პოლიტიკის პირმშოა აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტების რადიკალურ-ექსტრემისტული „კოპორტა“ ვ. არძინბას, ს. შამბას, ვ. ოზგანის, ს. ლაკობას, ს. ტარკილის, ვ. ცუგბას და სხვათა შემადგენლობით. მათ იკისრეს პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე აფხაზებსა და ქართველებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღებისათვის.

საბედნიეროდ, აფხაზი ხალხის საუკეთესო ნაწილს, რომლის უმრავლესობა ახლა ემიგრაციაშია, დიდი ხანია შეგნებული აქვს რუსეთის იმპერიული ძალების მიერ შედგენილი სცენარით მოქმედების დამღუპველობა. თუ აფხაზურ ეთნოსს სიცოცხლე და გადარჩენა უწერია, მხოლოდ — საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში, რომლის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში თავის დროზე მას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს შესრულებული.

ორ ხალხს, მით უმეტეს მეზობელ, მონათესავე ხალხებს შორის მტრული დაპირისპირების წარმოქმნის დროს არ შეიძლება ერთი მხარე **აბსოლუტურად მართალი** იყოს, მეორე მხარე კი **აბსოლუტურად მტყუანი**, საკითხი დგას დანაშაულობათა მასშტაბებსა და სიმძიმეზე.

საქართველოს მხარემ აღიარა, რომ ომის დასაწყისში ქართული მოხალისე სამხედრო ფორმირებებმა ცენტრალურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებელი არასანქცირებული გაუმართლებელი ქმედებები ჩაიდინეს აფხაზეთის ავტონომიისა და აფხაზი ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ (იგულისხმება ეთნიკური ნიშნით ძარცვისა და დარბევების ცალკეული ფაქტები). მაგრამ ამას არ ჰქონდა წინასწარ დაპროგრამებული, ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი, მით უმეტეს, არც აფხაზი ხალხის გენოციდს ისახავდა მიზნად. ამიტომ ქართული მოსახლეობის წინასწარ დაგეგმილ ბარბაროსულ გენოციდს, რაც აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთში დახვეწილი ფაშისტური მეთოდებით განახორციელეს, არანაირი საფუძველი და გამართლება არა აქვს. ათასობით უდანაშაულო ადამიანის დახოცვისა და ათი ათასობით ოჯახის მშობლიური კუთხიდან განდევნის სულისჩამდგმელებმა, ორგანიზატორებმა და შემსრულებლებმა საერთაშორისო სამართლის მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი. დღეს თუ ხვალ, ეს აუცილებლად მოხდება. მსოფლიო საზოგადოებრიობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთხმად დაგმეს და სათანადო შეფასება მისცეს, აფხაზურ აგრესიულ სეპარატიზმს. თუ ნახევარი საუკუნის წინათ ნიუნბერგში გაასამართლეს გერმანული იმპერიული ფაშიზმი, მალე საერთაშორისო სასამართლოზე უნდა წარსდგეს აფხაზური სეპარატისტული ფაშიზმი.

სამწუხაროდ, მომხდარს ვერ შეცვლი, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საქართველოს მხრივ მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის მიმართ შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის, „სისხლი სისხლისა წილ“ პოლიტიკა არ იქნება გამართლებული. აფხაზეთის კონფლიქტი უნდა მოწესრიგდეს პოლიტიკური გზით. სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

თქმა არ უნდა, ეს გზა ყველაზე რთული და ძნელი გზაა. ამ გზაზე სიარულს დიდი სიბრძნე, დიდსულოვნება და მოთმინება სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლებას ეს შეგნებული აქვს და ყველაფერს აკეთებს, შეუძლებელსაც კი, რომ თავიდან აიცილოს დაპირისპირების ესკალაცია, სწორედ ეს შეგნება უდევს საფუძვლად საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ შემუშავებულ კონცეფციას აფხაზეთში დევნილი მოსახლეობის ეტაპობრივი დაბრუნების თაობაზე. ამ კონცეფციის თანახმად, პირველ ეტაპად მიჩნეულია გალის რაიონში დევნილი მოსახლეობის დაბრუნება. გალის რაიონი, რომელსაც უჭირავს ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორია, ყოველთვის იყო ქართველების და აფხაზების გამაერთიანებელი, დამაკავშირებელი რგოლი და ხიდი. თვით გალის რაიონის მოსახლეობის ყოფა და კულტურა წარმოადგენს საუკეთესო ქართველური და აფხაზური ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების ურთიერთქმედებით, შერწყმით მიღებულ საინტერესო ფენომენს, რომლის გამოუყენებლად, ვფიქრობთ, გაძნელდება აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გადაწყვეტა. ამიტომ გალის რაიონმა უნდა შეასრულოს ის ისტორიული მისია, რომელიც მას ბუნებრივად ეკისრება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონის ტერიტორია არ ყოფილა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებათა არენა, მოსახლეობამ აქ არანაკლები ზარალი განიცადა, სწორედ გალის რაიონში უმწეო, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ კლასიკურ ფორმებით გატარებულმა მასშტაბურმა გენოციდის პრაქტიკამ საბოლოოდ ჩამოხსნა ნიღაბი კაციჭამია, ქართველთ მოძულე აფხაზურ ფაშისტურ სეპარატიზმს და იგი მსოფლიო საზოგადოების სამსჯავროზე გაიყვანა.

გალის რაიონის მოსახლეობა მზადაა, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ძმათამკვლელ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარებაში მისი შესაფერისი როლი შეასრულოს, ეს გაკეთდება, ძირითადად სახალხო დიპლომატიის, მეზობლობის თუ მეგობრობის არხების, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით.

ჩვენი ოპტიმიზმი აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში ემყარება აფხაზი ხალხის რეალურად მოაზროვნე, სეპარატისტული იდეოლოგიისაგან თავისუფალი ნაწილის პოზიციებს, ქართველთა და აფხაზთა მეგობრული, ნათესაური ურთიერთობის ათასწლიან ისტორიულ ფესვებს. შეცდომა იქნებოდა მთელი აფხაზი ხალხის გაიგივება ვ. არძინბასთან და მის გარემოცვასთან.

ძალად დამყარებული მშვიდობა, ეფემერული და მყიფეა. [illegible] უმალვე ირღვევა, როგორც [illegible] მშვიდობის დამამყარებელი [illegible] წ. „ცისფერი ჩაფხუტები“ [illegible] ასეთ მშვიდობას ჩვენ არ [illegible] წრაფვით. მშვიდობა უნდა [illegible] ვიდეს ბუნებრივი გზით — ხალხებს შორის ეკონომიკური, კულტურული, მეზობლური, [illegible] ურთიერთობების აღდგენის [illegible] ცილებლობის ძალით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის დიდსულოვნებასა და სიბრძნეს, მისი [illegible] სტიანული მიმტევებლობის [illegible] უწურავ უნარს, საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას [illegible] ნფლიქტის პოლიტიკური, მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის.

უნდა ვიზრუნოთ, აგრეთვე [illegible] ქართველოში სტაბილურობის განმტკიცების, სამოქალაქო და სოციალური დაძაბულობის შემცირების, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ამაღლებისათვის.

ჩვენ უკვე მივაღწიეთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის [illegible] რშემო საქართველოსათვის ხელსაყრელი საგარეო პირობები შექმნას, სეპარატიზმის მიმართ უარყოფითი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერასა და დახმარებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის სამართლიან ბრძოლაში, საქართველოს აქტიურ ჩართვას მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციულ პროცესებში, კავკასიაში ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისა და „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ მოძრაობის პროცესის დაწყებას.

გვჯერა, რომ აფხაზეთის [illegible] სხლით მორწყულ მიწაზე მალე დადგება „ჟამი სიცოცხლისა, [illegible] შენებისა და ჟამი შეკრებად [illegible] თა“.

რენალდ დგებუაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საწარმო

ოქროს მთები მადნეულში
მითი თუ რეალობა?

მღელვარე დღეები უდგას კაზრეთის მთათა რკალში მოქცეულ „მარგალიტს“ — სააქციო საზოგადოება „მადნეულს“. აი, უკვე რამდენი წელია აქ ჩაბუდებული ეროვნული სიმდიდრის გამო ატეხილი ვნებათაღელვა არ ცხრება. ვინ უნდა უპატრონოს ამ სიმდიდრეს — სახელმწიფომ, საწარმოს კოლექტივმა, ინვესტორებმა თუ ყველამ ერთად? საქართველოს მთავრობამ სრულიად ლოგიკურად სადავო საკითხების ტენდერით გადაწყვეტის გზა აირჩია, მაგრამ რამდენჯერაც დაინიშნა ტენდერი, იმდენჯერვე გადაიდო, ამ საქმეს გვირგვინი ვერა და ვერ დაედგა.

ასეთ სიტუაციაში ვეწვიეთ „მადნეულს“. უპირველესად, რა თქმა უნდა, ბოლნისელთა თავკაცს გოჩა ცოფურაშვილს შევეხმიანეთ. თუმცა, მასთან საუბრამდე...

მცირე ექსკურსი

მადნეულის საბადო თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 80 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქთან, სხვა სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან, საზღვაო ქალაქებთან — ფოთთან და ბათუმთან, დსთ-ს სახელმწიფოებთან საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით. რაიონი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, ტექნიკური და სასმელი წყლებით.

საწარმოს მუშაკთათვის აშენებულია ქალაქის ტიპის დასახლება ყველა საჭირო სოციალური ინფრასტრუქტურით – საცხოვრებელი სახლებით, განათლების, ჯანმრთელობის, ვაჭრობის, კულტურისა და სპორტის ობიექტებით.

საბადოს ამუშავებს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (ამჟამად სააქციო საზოგადოება „მადნეული“), რომელიც 1974 წელს ამოქმედდა. იგი ძირითადად მოიპოვებს სპილენძის და ბარიტის, აგრეთვე თანმდევ თუთია-სპილენძის, ბარიტ-პოლილითონურ მადნებს და ოქროსშემცველ კვარციტებს, ამდიდრებს სპილენძისა და ბარიტის მადნებს, იღებს მათ კონცენტრატებს, ეწევა რეალიზაციას.

უკანასკნელი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვანად შეაფერხა „მადნეულის“ საქმიანობა. 1991-1996 წლებში კატასტროფულად შემცირდა სპილენძის მადნის მოპოვება და მისი სასაქონლო კონცენტრატის წარმოება, შეწყდა ბარიტის კონცენტრატის, სახალხო მოხმარების საქონლის – ბროლის, ფირუზის და სხვა პროდუქციის წარმოება, დაეცა სპილენძის ფასი საერთაშორისო ბაზარზე.

ასეთ პირობებში მკვეთრად შემცირდა საწარმოს რენტაბელობა. მიღებული შემოსავლები საკმარისი არ აღმოჩნდა კვლავწარმოებისათვის, იგი ხმარდებოდა მხოლოდ წარმოებისათვის აუცილებელი საბრუნავი საშუალებების შევსებას, საბიუჯეტო გადასახდების და მომუშავეთა ხელფასების დაფარვას.

და მაინც, ამ სირთულეთა მიუხედავად, ბოლო ორ წელიწადში „მადნეულმა“ წარმოების რეაბილიტაციის, ინვესტიციის მოზიდვის და ერთობლივ საწარმოთა შექმნის, საწარმოს პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის სასიცოცხლო ღონისძიებანი განახორციელა.

ამან საშუალება მისცა პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში ლევან მამალაძეს, ამას წინათ რუსთავში გამართულ პრესკონფერენციაზე განეცხადებინა: დასრულდა სს „მადნეულის“ რესტრუქტურიზაცია. აქ მუშაობას შეუდგა რამდენიმე დამოუკიდებელი საწარმო, მათ შორის საქართველო-ავსტრალიის ერთობლივი საწარმო „კვარციტი“, რომლის ამოქმედება საქართველოს მსოფლიოს ოქროს მწარმოებელ ქვეყნად გადააქცევს.

კეთილდღეობა ბიუჯეტით იწყება

ამ მოვლენის გახსენებით დავიწყეთ საუბარი ბოლნისის რაიონის გამგებელთან გოჩა ცოფურაშვილთან, რომელიც ამ თანამდებობაზე წლეულს თებერვალში სწორედ სს „მადნეულიდან“ გადმოიყვანეს. ეს ის პერიოდი იყო, როცა საბიუჯეტო დავალების შესრულება რაიონში ერთობ გაძნელდა. შეფერხდა გადასახადების აკრეფა, რასაც თან მოჰყვა ხელფასების და პენსიების გაუცე-

გოჩა ცოფურაშვილი.

მლობა, სოციალური და კულტურული პროგრამების გადავადება...

— ბატონო გოჩა, როცა ამ პასუხსაგებ პოსტზე თქვენს დანიშვნას დაეთანხმდით, საკუთარ შესაძლებლობებში ხომ არ დაეჭვებულხართ?

— არ დავმალავ, უმძიმესი ამოცანის შესრულება დამეკისრა. დავთანხმდი, რადგან ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. მხედველობაში მაქვს გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობის დროს წელიწადნახევარში გავლილი პრაქტიკა, უნივერსიტეტსა და ასპირანტურაში მიღებული ეკონომიკური განათლება და, რაც მთავარია, შესაძლებლობები, რომლებიც სს „მადნეულს“ აქვს.

ცნობისათვის: ბოლნისის რაიონი ქვემო ქართლში საბიუჯეტო გადასახდელების მოცულობის მიხედვით რუსთავისა და გარდაბნის შემდეგ მესამე ადგილზეა.

— ეს მხოლოდ შესაძლებლობებია, დავალებას კი რეალური საქმის კეთება უნდა.

— ჩვენც სწორედ საქმის კეთებით დავიწყეთ. უპირველესად საგადასახადო შემოსავლების რეზერვები გამოვძებნეთ, კადრების საქმიანობასა და პროფესიონალიზმსაც გადავხედეთ.

რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსად ენერგიული ახალგაზრდა, 26 წლის ფინანსისტი გოგიტა მეშველიანი დავნიშნეთ. ამით დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთეთ, მაგრამ მოვლენების მსვლელობამ გვიჩვენა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. მარტში არა მარტო ბიუჯეტის ერთი თვის გეგმა შევასრულეთ, წინა ორი თვის გარღვევაც გადავფარეთ.

ამაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი გაიღო „მადნეულმა“, მაგრამ მასთან ერთად მობილიზებული იყო რაიონის ვაჭრობაში, ტრანსპორტში, სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სფეროში არსებული უამრავი ადრე უმოქმედო რეზერვი. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბიუჯეტში 713 ათასი ლარი ჩავრიცხეთ და პირველი კვარტალის დავალება 101 პროცენტით შევასრულეთ.

— როგორ მიდის საქმე მეორე კვარტალში?

— სიმართლე გითხრათ, აპრილშიც ძალიან გაგვიჭირდა. მდგომარეობა დაუმძიმდა სს „მადნეულსაც“, თუმცა ამაში მას ბრალი არ მიუძღვის. ახლანდელ ურთულეს ენერგეტიკულ და სატრანსპორტო პირობებში მადნეულელებმა კი შეძლეს შეკვეთილი პროდუქციის გამოშვება და მიწოდება, მაგრამ უცხოელმა პარტნიორებმა თანხების ჩამორიცხვის დრო გაწელეს. იყო სხვა მიზეზიც – დროულად ვერ მოხერხდა მიწის და სოფელთან დაკავშირებული სხვა გადასახადების აკრეფა.

ახლა გამგებლებს ხშირად გვსაყვედურობენ, საგადასახადო ინსპექციის მოვალეობის შესრულებას ნუ კისრულობთო. გვესმის, რომ ამას არ უნდა ვაკეთებდეთ, მაგრამ სხვაგვარად საქმე რომ არ გამოდის? ყველაფერს ვილონებთ იმისათვის, რომ არა მარტო მეორე კვარტალის, არამედ მესამე კვარტალის და წლიური საბიუჯეტო დავალებაც უეჭველად შესრულდეს.

მართალია, დღეს ბიუჯეტის შევსება მწვავედ მიმდინარეობს, ხშირად საყვედურს გადამხდელებიც გამოთქვამენ, მაგრამ შემიძლია ისინი დავამშვიდო: თითოეული გადახდილი ლარი მიზნობრივად იხარჯება და რაიონის საერთო, სახალხო საქმეს ხმარდება. მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდები. წლების მანძილზე უსახსრობის გამო რაიონული ცენტრის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უწყლოდ რჩებოდა. ამჟამად შევძელით ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა და შპს „მადნეულმშენსაც“ საქმე გავუჩინეთ. მასთან უკვე გაფორმდა ხელშეკრულება ორკილომეტრიანი წყალსადენის მშენებლობაზე, რომელიც ზაფხულში დამთავრდება. ახლა ჩვენთან ხელფასები და პენსიები დაწესებულ ვადებში გაიცემა, ხერხდება თუნდაც მინიმალური თანხების გაღება განათლების, კულტურის, სპორტის დასაფინანსებლად, აფხაზეთიდან ლტოლვილთა და რაიონის უმწეო მოქალაქეთა დასახმარებლად.

კარგად გვესმის, რომ ყოველივე ამას ვერ გავაკეთებთ, თუ ვერ შევძელით მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ამუშავება. ამ თვალსაზრისით მადნეულის სამრეწველო კომპლექსში პირველი დამაიმედებელი შედეგები მივიღეთ. განვლილ ოთხ თვეში საწარმოს მიერ გადარიცხულმა საბიუჯეტო გადასახდელებმა 481.454 ლარი შეადგინა.

თუ ინვესტორი გამოჩნდება

და აი, თვით სს „მადნეულიც“. მისი თავკაცი ელდარ ბოჭორიშვილი უკვე ოცი წელიწადია აქ მუშაობს. კაზრეთში სრულიად ახალგაზრდა სამთოელი „ჭიათურმანგანუმიდან“ მოვიდა. მოვიდა და აღარსად წასულა, ყველა თანამდებობა და უბანი მოიარა, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გაშვებისა და მისი სრულად ამოქმედების პერიოდში, სადაც ის წლების განმავლობაში ასრულებდა ღია სამთო სამუშაოების მაღაროს უფ-

ელდარ ბოჭორიშვილი.

როსის, კომბინატის მთავარი ინჟინრის მოვალეობებს.

არცთუ დიდი ისტორიის მქონე ამ საწარმოს ყველაზე ძნელ ეტაპზე, როცა მას დამნაშავე სამყაროს კლანები წაეპოტინენ, ელდარმა თავისი პრინციპები არ დათმო – რას მიქვია პირადი ინტერესი, კომბინატი სახალხო ქონებაა და იგი ქვეყნის ინტერესებს უნდა ემსახურებოდესო, – დააზუსტა მაშინ მან თავისი პოზიცია.

მადლობა უფალს, დიდხანს ვერ იბოგინეს. ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციის და კონტროლის პალატის ძალისხმევით დაიწყო ახალი ეტაპი მადნეულელთა საქმიანობისა, რომლის თავკაცობა ელდარ ბოჭორიშვილს მიანდეს, მან მძიმე მემკვიდრეობა მიიღო: დიდი ვალები ბიუჯეტის, მოხმარებული ელექტროენერგიის, რკინიგზის დეპარტამენტის, ფოთის პორტის.

მას მეუხედით ჰოლდინგური კომპანია „საქსამთომეტალურგის“ მორიგ სხდომაზე, რომელიც ამჯერად კაზრეთში ტარდებოდა. ამ სხდომიდან გავიგეთ, რომ 1992 წლის შემდეგ, პირველად, საწარმოში სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 1994 წელთან შედარებით ორჯერ, ხოლო 1995 წელთან შედარებით – 36 პროცენტით გაიზარდა. ბიუჯეტში შეტანილია 3 მილიონამდე ლარი – მოგების 150 პროცენტი და სასაქონლო პროდუქციის – 20 პროცენტი. მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევენ დაბა კაზრეთის, ბოლნისის რაიონის ხელმოკლე ოჯახებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ჯანმრთელობას, განათლებას, კულტურას, სპორტს.

ბოლო პერიოდში საწარმოს დაუბრუნდა 380 მუშა-მოსამსახურე. ამუშავდა ორი მუშათა სასადილო და ერთი მოძრავი სასაუზმე, სადაც სადილები შეღავათიან ფასებში გაიცემა. მუშაობა განაახლეს საბავშვო ბაღმა, საავადმყოფომ, ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებმა.

დიახ, არის ერთგვარი ძვრები, რომლითაც საწარმოს თავკაცმა უნდა იამაყოს, მაგრამ, ამას როგორლაც ვერ ვამჩნევთ.

— არადა, აღარ დამთავრდა მოლოდინი, – გვეუბნება ბატონი ელდარი, ჭიანურდება საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, რამაც კრიტიკულ ზღვრამდე მიგვიყვანა. მოძველებული ტექნოლოგიური დანადგარები, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი სამთო სამუშაოების ტექნიკური საშუალებები, ტრანსპორტი დიდი ხანია განახლებას ელოდება, ჩვენ კი საამისო თანხები არ გაგვაჩნია, ინვესტორები, რომლებსაც სურთ თავიანთი კაპიტალის ჩვენს საქმეში დაბანდება, მრავლად არიან, მაგრამ, იმ ყბადაღებული ტენდერის ჩატარება ვერა და ვერ გადაწყდა. ახლა, როგორც იქნა, იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ტენდერი ჩვენ თვითონ (საწარმოს სამეთვალყურეო საბჭომ და დირექციამ) მოვაწყოთ და ინვესტორიც ჩვენვე შევარჩიოთ, რაც შეესაბამება სამეწარმეო კანონმდებლობის მოთხოვნებს და აქციონერთა ინტერესებს. უნდა ითქვას, რომ საინვესტიციო პროგრამამ, რომელიც მადნეულელებმა შევიმუშავეთ, ექსპერტიზა გაიარა სამინისტროებში, სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო ინსტიტუტებში, პარლამენტის დარგობრივ კომისიებში, სადაც სათანადო შესწორებების შემდეგ საბოლოოდ დაიხვეწა და საპროგრამო დოკუმენტად იქცა. ამ პროგრამის პირველი ეტაპი რამდენიმე თვეში უნდა განხორციელდეს, მაგრამ ინვესტორი თუ არ დადგინდა, ცარიელი ხელებით რას გავაკეთებთ?

პროგრამის ზოგიერთი მახასიათებელი ასეთია: სს „მადნეულის“ საწესდებო ფონდის ღირებულება შეადგენს 16.280.568 აშშ დოლარს. სააქციო პაკეტის ღირებულების 98,2 პროცენტი სახელმწიფოს ხელშია. განხორციელდა რესტრუქტურიზაცია. ახლადრეგისტრირებულ იურიდიულ პირებთან, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად ჩამოყალიბდნენ, შეიქმნა ერთობლივი საწარმოები: საქართველო-ავსტრალიის „კვარციტი“. პარტნიორები არიან სს „მადნეული“ და ავსტრალიის ფირმა „კროპეული“, კაპიტალის შეფარდებაა 50X50, წარმოებული პროდუქცია – ოქროსა და ვერცხლის შემცველი შენადნობი „დორე“; საქართველო-რუსეთის საწარმო „ეკოლოგი“. პარტნიორები – სს „მადნეული“-სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება „ერგ“. საწესდებო ფონდში ჩადებული კაპიტალის შეფარდება: „მადნეულის“ – 75 პროცენტი, „ერგ“-ის – 25. გამოშვებული პროდუქცია – სპილენძის ფხვნილი. ასევე იურიდიულ პირებად გატარდნენ რეგისტრაციაში სოფლის მეურნეობის დამხმარე მეურნეობა „ჰიდროპონიკა“, სამშენებლო ორგანიზაცია „მადნეულმშენი“ და კიდევ რამდენიმე ფირმა.

მათ აირჩიეს დირექტორთა საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს საწარმოთა საქმიანობას, წყვეტს მიმდინარე და სამომავლო საკითხებს.

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, – გვარწმუნებს ბატონი ელდარ ბოჭორიშვილი, – თუ ზემოდან მხარდაჭერა გვექნება და ინვესტორიც გამოჩნდება, ჩვენი სააქციო საზოგადოება მალე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომუშავე საწარმოდ გადაიქცევა.

თუ რას გულისხმობს ამაში, თანდათან გასაგები გახდება ქვემოთ, როცა უშუალოდ შპს „კვარციტის“ და „ეკოლოგის“ საქმიანობას შევეხებით.

ჩვენ შავ სამუშაოებს ვასრულებდით, ნაღებს კი სხვები ხდიდნენ

„კვარციტის“ ძირითადი სამუშაო ადგილი მაღალ მთაში,



„მადნეულის“ ერთ-ერთი უბანი.

ირგვლივ შემოჯარული ტყეების გარემოცვაშია. შენობები, რომლებიც აქ ახლახან აუგიათ, არც თუ დიდებია.

სამსხვრევი მანქანებისა და ოქრო-ვერცხლის ციანმარილებით გამოსატუტი საბაზანოს მუშაობით დავინტერესდით.

მეგზურობას ქართული მხარის დირექტორი შოთა რეხვიაშვილი გვიწევს. მისი ავსტრალიელი კოლეგა გარი ტომასი მორიგ შვებულებას, თურმე, სამშობლოში ატარებს. გვითხრეს, მალე დაბრუნდება, ივნისის დასაწყისში საწარმოს ოფიციალური პრეზენტაცია გვექნება და მაშინაც გვეწვიეთო.

ისტორია ასეთია: მადნეულის საბადო იმთავითვე სპილენძის მოპოვებაზე იყო ორიენტირებული. 20 წლის განმავლობაში ამ სამუშაოს პარალელურად თანმხლები მეორადი კვარციტების დასაწყობებაც მიმდინარეობდა, სადაც ხდებოდა მათი ბუნებრივი გამოტუტვა. წლების მანძილზე შედარებით მდიდარი, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტები ჩალის ფასად სომხეთში არარატის ოქროს ამომკრეფ ქარხანაში იგზავნებოდა, დანარჩენი კი ადგილზე რჩებოდა. როგორც იტყვიან, შავ სამუშაოებს ჩვენ ვასრულებდით, ნაღებს კი სხვები ხდიდნენ. ეს ადრე, ბოლო დროს კი ესეც შეწყდა.

მაგრამ აი, საქართველოში დადგა სტაბილიზაციის პერიოდი და უცხოელმა ინვესტორმაც აქეთკენ დაიწყო ცქერა. ასე შეიქმნა 1994 წლის იანვარში ერთობლივი საწარმო „კვარციტი“, რომელიც ავსტრალიელმა ინვესტორებმა დააფინანსეს (14 მილიონი დოლარი ჩადეს). ჩატარდა წინასაპროექტო კვლევები, მადნების მრავალმხრივი გამოცდა, დაიწყო გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომლის პირველი რიგი უკვე დასრულდა. თავად ვიხილეთ მრავალტონიანი თვითმცლელები როგორ ეზიდებიან მადანს სამსხვრევების „ბუნკერებამდე“. დამსხვრეული მასა 120-ტონიან კუბებში (აბაზანებში) იყრება და იწყება მათი ციანმარილების მეშვეობით გამოტუტვა. პირველი დამუშავებით მადნიდან ოქრო-ვერცხლის მხოლოდ ნახევარს იღებენ. თუ იგივე მადანი მეორე გადამუშავებას გაივლის, მაშინ ამოიკრიფება ძვირფასი მეტალები, საიდანაც შენადნობის „დორები“ მიიღება. შემდეგ იგი იგზავნება გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში, საააფინაჟე ქარხანა „დეგუზაში“, სადაც ხდება სუფთა ოქრო-ვერცხლის ზოდებად ჩამოსხმა და დადამღვა.

ჩვენ დავინტერესდით კვარციტების დამუშავების ტექნოლოგიით და გაოცებული დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ იგი მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში მოღვაწე კარგად ცნობილ ქართველ მეცნიერს პეტრე ბაგრატიონს ეკუთვნის.

1843 წელს მან შეიმუშავა ოქროს ამოკრეფის ყველაზე სრულყოფილი, კუბური (აბაზანური) გროვითი ციანირების ტექნოლოგია, რომელმაც დიდი გამოყენება ჰპოვა მსოფლიოში. ამჟამად აშშ-ში მოპოვებული ოქროს 30-35 პროცენტს ამ მეთოდით იღებენ.

ამჟამად „კვარციტი“ ქარხნის პირველი რიგის სასტენდო გამოცდებს აწარმოებს, უახლოეს დროში კი კვარციტების სამრეწველო გადამუშავებას შეუდგება. ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე 300.000 ტონა მადანს დაამუშავებენ, საიდანაც 3,5 მილიონი ლარის პროდუქციას და 1,3 მილიონი ლარის მოგებას მიიღებენ. როცა ტექნოლოგიური მოწყობილობა მთელი სიმძლავრით ამუშავდება (1998 წელი), მაშინ კვარციტების ყოველწლიური გადამუშავება 2 მილიონ ტონას მიაღწევს, შემოსავალი კი 23-24 მილიონ ლარს. ნაანგარიშებია მთელი მარაგის გადამუშავების ეფექტიც – 230-240 მილიონი ლარის პროდუქცია და 90 მილიონი ლარის მოგება. ახლა, ხალხის დასაქმება, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, ინფრასტრუქტურის განვითარება!

— ბატონო შოთა, — ზოგს ანტიეროვნულ საქმედ მიაჩნია შენადნობის („დორე“) საზღვარგარეთ გატანა და იქ სუფთა ოქროს ჩამოსხმა. ხომ შეიძლება აქვე ავაშენოთ ქარხანა, რომელიც ოქროს ზოდებად ჩამოასხამს?

— ასე შეიძლება მხოლოდ დილეტანტებმა იაზროვნონ. დღევანდელი რეალობა, საბაზრო ეკონომიკა კი სულ სხვა განაწესს გვთავაზობს – ჩვენ მოვალენი ვართ ყველაფერი ვიანგარიშოთ, წინასწარ ავწონ-დავწონოთ და მერე პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ. ისეთი მცირემარაგიანი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენ ვართ, ცალკე ოქროს ამომკრეფი ქარხნის მშენებლობა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ზემოთ უკვე ვთქვი, აქაური მარაგის გადამუშავება საერთო ანგარიშით 90 მილიონი ლარის მოგებას მოგვცემს, მარტო ქარხნის მშენებლობას კი 60-70 მილიონი დასჭირდება! ესეც არ იყოს, ჩვენ არა ვართ ოქროს მწარმოებელი კლასიკური ქვეყანა და არც საკუთარი დამღის უფლება გვაქვს. უდამღო ოქროს კი ძნელად გაასაღებ. ამდენად, ჩვენი მიზანი უნდა იყოს რენტაბელური წარმოების განვითარება და არა ოქროს ამომკრეფი ქარხნის მშენებლობა.

დამიჭირეს, ხელი მომჭრეს...

ახლა ვნახოთ, რას აკეთებს ერთობლივი საწარმო „ეკოლოგი“, რომლის დამფუძნებელი სს „მადნეულთან“ ერთად სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება „ერგი“ გახლავთ. რუსულმა მხარემ დაამუშავა პროექტის ტექნოლოგია, ხოლო „მადნეულმა“ მისი პირველი ეტაპის შესრულება განახორციელა. ტექნოლოგია ითვალისწინებს საკარიერო წყლების გაწმენდა-გაუვნებლებას. წყლებს გაყოლილი სპილენძის, თუთიის და რკინის ლითონური ან სხვა ნივთიერების სახით მიღებას, რითაც ეკოლოგიური პრობლემაც მოიხსნება და ძვირადღირებული სასაქონლო პროდუქციაც დამზადდება. მისი რეალიზაცია საწარმოს დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს.

ასეთია „ეკოლოგის“ საპროგრამო განაწესი, მაგრამ მის შესრულებას აფერხებს უსახსრობა. არადა, საწარმომ, თუ იმუშავა, წლიურად 3-5 მილიონი დოლარის სასაქონლო პროდუქცია უნდა მიიღოს, მაგრამ მანამდე მშენებლობის დასამთავრებლად და საწარმოს სრული ტექნოლოგიური ციკლით ასამუშავებლად საჭიროა 500 ათასი დოლარის ინვესტიცია.

— „ეკოლოგის“ დირექტორი, მოუსვენარი აზრის მეცნიერი – ექსპერიმენტატორი თამაზ ბუაძე არ დაელოდა ინვესტიციებს და მის ხელთ არსებული რესურსების, უფრო კი ენთუზიაზმის იმედით შეუდგა საქმის კეთებას. სანკტ-პეტერბურგელი პარტნიორის ხელშეწყობით საწარმოში მოკლე დროში დასრულდა პროექტით გათვალისწინებული მჟავე წყლების დამჭერი მოწყობილობა-ნაგებობების პირველი რიგის სამუშაოები და მიმდინარეობს მათი საწარმოო გამოცდა. მიღებულმა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ამოკრეფილ ნივთიერებათა გამოყენებით წარმოებულია სპილენძის სულფატი – შაბიამანი, რომელიც ასერიგად ესაჭიროებათ ჩვენს უმხამქიმიკატობით გაწამებულ მევენახეებს. აქ კი, როგორც ბატონმა თამაზმა გვითხრა, შესაძლებელია დღეში 4 ტონამდე შაბიამნის მიღება.

მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობაა. ფაქტობრივად, როგორც კი „ბოლი ამოვიდა“ შაბიამნის დანადგარიდან, რაიონის საგადასახადო ინსპექციის მუშაკებიც უმალ იქ გაჩნდნენ, უანგარიშეს, აქტი შეუდგინეს და ვეებერთელა ჯარიმა დააკისრეს. ამასთან ბანკში ანგარიშს ყადაღა დაადეს და გადაუხდელობისათვის ყოველდღე საურავებს აწერენ. კერძოდ, რას ედავებიან? აქტში ჩაწერილია, რომ „ეკოლოგმა“ 1996 წლის ივლისში სანქტ-პეტერბურგში გაგზავნა 3,9 ტონა სპილენძის ფხვნილი, რომლის სარეალიზაციო ღირებულება 15795 ლარს შეადგენს. მათი აზრით, საწარმომ პროდუქციას რეალიზაცია გაუკეთა, ბიუჯეტს კი არაფერი გადაუხადა. ამიტომაც დააკისრეს ჯარიმიან-საურავიანად 3230 ლარის გადახდა. ამას დაემატა 6 ტონა ფხვნილის მოპოვებისათვის წიაღით სარგებლობის გადასახადი – 3655 ლარი და 80 თეთრი... სიზუსტეც ამას ჰქვია.

საგადასახადო ინსპექციის მუშაკები „ეკოლოგის“ წინაშე ვითომ მართლები არიან? ვფიქრობთ არა, როგორც საბუთებიდან ჩანს, სანკტ-პეტერბურგში გაიგზავნა არა სარეალიზაციო პროდუქცია, არამედ საგამოცდო პარტია პირობითი შეფასებით. იქ უნდა დადგენილიყო პროდუქციის ვარგისიანობა და ამის შესაბამისად მისი ღირებულებაც. რადგან ლაბორატორიულმა გამოცდამ ფხვნილის კონდიციურობა არ დაადასტურა, იგი რეალიზაციისთვის უვარგისია და ექვემდებარება კაზრეთში დაბრუნებას (ამის თაობაზე იქიდან წერილიც მიიღეს).

რაც შეეხება ბუნების რესურსებს, ფხვნილი მიიღება არა ბუნების რესურსებიდან, არამედ „მადნეულის“ მიერ გადამუშავებული საბადოდან წარმოშობილი ბუნების გამაბინძურებელი, მომწამლავი მჟავე წყლების გაწმენდისა და გაუვნებლების შედეგად, ხოლო რესურსების გადასახადს სს „მადნეული“ იხდის.

არაორდინალური შემთხვევაა. საწარმომ ბუნება მოწამვლისაგან იხსნა, მევენახეებს დეფიციტური პროდუქცია – შაბიამანი შესთავაზა, ამათ კი იმის მაგივრად, რომ მადლობა ეთქვათ, ჯარიმებით აავსეს. სწორედ ამაზე იტყვიან – დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია...

ასეთია მდგომარეობის საერთო „ხედი“, რომელიც მადნეულში დაგვხვდა. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? არც თუ სახარბიელოსი.

არის მადანი, საწარმოო საშუალებები, ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე კოლექტივი, საერთაშორისო ბაზარი, სადაც მადნეულელთა პროდუქციას მწვანე შუქი უნთია (გამონაკლისი ფაქტია, აქ წარმოებული პროდუქციის 90 პროცენტი საზღვარგარეთ იყიდება), მაგრამ არ არის უმთავრესი – სახსრები, უფრო სწორედ თანხები, რომელიც მთელ ამ გაჩერებულ ძალებს მოძრაობაში მოიყვანს.

სამაგიეროდ, როგორც ჩანს, არსებობენ ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ მადნეულის კომპლექსის უზარმაზარი შესაძლებლობები დაამუხრუჭონ, კარგად დაწყებული საქმის დინება შეაჩერონ. ჩვენ კონკრეტულად ხელს ვერავის დავადებთ, მაგრამ ტენდერის ამდენი გადადებ-გადმოდებაც ამაზე ხომ არ მიგვანიშნებს?

დრო კი მიდის და ის მადნეულელთა საწინააღმდეგოდ მუშაობს. არ გვესმის, რატომ არ შეიძლება საწარმოს ბედის გადაწყვეტა, ინვესტორის შერჩევა, კანონის თანახმად, თვით მის კოლექტივს მივანდოთ? არადა, ეს დაუსრულებელი მოლოდინი, უმოქმედობა უდიდეს ზარალს აყენებს საწარმოსა და ქვეყნის ეკონომიკას. წარმოიდგინეთ, მარტო წლეულს მადნეულის კომპლექსი ბიუჯეტს 4 მილიონ ლარს მისცემს, მაგრამ თუ იგი მთელი ძალით ამოქმედდება და პროდუქციის მოცულობა 50 მილიონი ლარის ზღვარს მიაღწევს, მაშინ სახელმწიფო ხაზინა ყოველწლიურად 8-9 მილიონ ლარს მიიღებს.

გაუგებარია, ღატაკი ქვეყანა ასეთ შანსს რატომ კარგავს?

ამირან მითაგვარია,
ოთარ ხუციშვილი.

გამამდიდრებელ ფაბრიკაში.

მადნის ამოღება.

უკვე იღებენ შაბიამანს.

ჩვენი მომავალი.

საქართველოს რესპუბლიკა

№122. ხუთშაბათი, 29 მაისი, 1997 წელი.

სახელმწიფო აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამის საფუძველზე წარმართავს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას.

საგანმანათლებლო საქმიანობა სახელმწიფოს მხრივ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

ეს კანონი მოიცავს მხოლოდ საერო განათლების სფეროს.

პროექტი

საქართველოს კანონი

განათლების შესახებ

თავი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

ა) ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცის ერთიანობა;

ბ) სწავლებისა და აღზრდის ჰუმანისტური ხასიათი;

გ) სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა;

დ) სულიერი და ფიზიკური აღზრდის ჰარმონიულობა;

ე) ზოგადსაკაცობრიო, ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა და საგანმანათლებლო ტრადიციათა აღიარება და პატივისცემა;

ვ) განათლების მეცნიერული ხასიათი;

ზ) განათლების ეტაპობრიობა, უწყვეტობა და მემკვიდრეობითობა;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მრავალსახეობა და მათი ავტონომიურობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ი) განათლების სისტემის დემოკრატიულობა;

კ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათაგან.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში და მისი ამოცანები

1. საქართველოს კანონმდებლობა განათლების სფეროში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და შედგება ამ კანონისა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტებისაგან, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

2. განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ამოცანებია:

ა) საქართველოს მოქალაქეთა განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფა და დაცვა;

ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა დონის ორგანოთა ფუნქციებისა და უფლებამოსილების განსაზღვრა განათლების სფეროში;

გ) განათლების სფეროში მოქმედ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

დ) განათლების სისტემის ფუნქციობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზისა და სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

3. განათლების სფეროში კანონმდებლობის დამრღვევ პირს ეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიები განათლების სფეროში

1. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს განათლების მიღების თანაბარი უფლება. პროფესიული განათლების მიღების უფლების შეზღუდვა რაიმე ნიშნით ან მოტივით დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემასა და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

3. ნორმალური განვითარებიდან გადახრილ პირებს სახელმწიფო უქმნის მათი განვითარების კორექციისა და სოციალური ადაპტაციის პირობებს.

4. განათლების მიღება გულისხმობს დადგენილი სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის ანუ კვალიფიკაციის მიღწევასა და მის დადასტურებას შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო მოწმობით ანუ სერთიფიკატით.

5. განათლების მიღება შეიძლება როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე ექსტერნატის ფორმით.

6. შესაბამისი სერთიფიკატით დამოწმებული ამა თუ იმ საგანმანათლებლო ცენზის მქონე პირებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აქვთ ყოველ მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე (ეტაპზე) სწავლის გაგრძელების თანაბარი უფლება.

7. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს მის დაფინანსებასა და მატერიალური ბაზის შექმნაში მონაწილეობით, პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის აუცილებელი პირობების შექმნით, რაც ყოველწლიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში.

8. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღებას თავის ხარჯზე უზრუნველყოფს სახელმწიფო. საქართველოს მოქალაქეებს დადგენილი წესით სახელმწიფო უნაზღაურებს იმ არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისათვის გაწეულ ხარჯებს, რომელსაც აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია და ახორციელებს დაწყებითი და/ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სახელმწიფო დაკვეთის ფარგლებში. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება შესაბამის ადგილას სახელმწიფო სასწავლებელში სწავლისათვის დადგენილი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივით.

9. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს სახელობო მომზადებას იმ პირთათვის, რომელთაც მიღებული აქვთ მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლება და არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკამდე.

10. სახელმწიფო აღიარებს თავის კონსტიტუციურ ვალდებულებას, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში მოქალაქეს უფასოდ მისცეს საშუალო და პროფესიული (მათ შორის უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი) განათლება, საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფილი სახელმწიფო დაკვეთის მეშვეობით. სახელმწიფო დაკვეთა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

11. სახელმწიფო დაკვეთით განსაზღვრული სასწავლო ადგილების დაკავება ხდება კონკურსით, რომლის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს თვით საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

12. საქართველოში სხვა ქვეყნის მოქალაქეთა განათლების მიღების უფლება ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთში — აგრეთვე აფხაზური, გარდა მე-2 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა.

2. საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რეკომენდაციით, სახელმწიფო უქმნის პირობებს ისეთი საბაზო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან სექტორის შესაქმნელად, სადაც სწავლება მიმდინარეობს მათ მშობლიურ ენაზე განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით.

3. სახელმწიფო აკრედიტაციის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოა ქართული ენის სწავლება.

4. საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები განათლების ყველა საფეხურის შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის დამადასტურებელი სერთიფიკატის მისაღებად ვალდებული არიან ჩააბარონ გამოცდა ქართულ ენაში შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

5. მსურველთა გარკვეული რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (დამოუკიდებელი კლასისთვის 3 მოსწავლე; დამოუკიდებელი საბაზო სკოლისთვის 27 მოსწავლე) სასკოლო ოლქის სამმართველო ვალდებულია შექმნას კლასი, სკოლა სახელმწიფო ენაზე სწავლებით.

6. უმაღლესი განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობას თავისი ავტონომიურობის ფარგლებში უფლება აქვს გახსნას არაქართულენოვანი სექტორები, რომელთა ლიცენზირებას ახდენს განათლების სამინისტრო.

მუხლი 5. საქართველოს განათლების სისტემა

საქართველოს განათლების სისტემა აერთიანებს:

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს და მათზე დაფუძნებულ ზოგად და პროფესიული განათლების პროგრამებს;

ბ) სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახისა და საფეხურის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და სააღმზრდელო დაწესებულებებს;

გ) განათლების სისტემის მართვის ორგანოებს.

თავი მეორე
სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი და ცენზი, აკადემიური ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამა, საგანმანათლებლო დაწესებულება

მუხლი 6. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები

1. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი წარმოადგენს სხვადასხვა საფეხურისა და სახის საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელ სასწავლო დისციპლინათა ნუსხასა და მათ შორის სასწავლო პროგრამების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, პროგრამათა ხანგრძლივობას, მოსწავლეთა სასწავლო დატვირთვის მაქსიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელ დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს.

2. სტანდარტების შესრულება სავალდებულოა სათანადო სტატუსის მქონე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

3. ნორმალური განვითარებიდან გადახრილ მოზარდთათვის დადგინდება სპეციალური საგანმანათლებლო სტანდარტები.

მუხლი 7. სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი, სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატი, აკადემიური ხარისხი

1. სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი ადასტურებს მოცემული საფეხურისა და სახის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განათლების დონის მიღწევას.

2. საქართველოში დადგენილია შემდეგი სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზები:

ა) დაწყებითი ზოგადი განათლების;

ბ) საბაზო ზოგადი განათლების;

გ) საშუალო ზოგადი განათლების;

დ) სახელობო მომზადების;

ე) დაწყებითი პროფესიული განათლების;

ვ) საშუალო პროფესიული განათლების;

ზ) უმაღლესი განათლების.

3. სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის მიღება დასტურდება ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით, რომელსაც გასცემს შესაბამისი სტატუსის მქონე აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულება.

4. მხოლოდ სახელმწიფო საგანმანათლებლო და საქართველოში ნოსტრიფიცირებული სერთიფიკატი წარმოადგენს საფუძველს მომდევნო საფეხურის სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გასაგრძელებლად, აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად.

5. ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატების ნიმუშებს ამტკიცებს საქართველოს განათლების მინისტრი.

6. აკადემიური ხარისხი (ბაკალავრის, მაგისტრის...) ადასტურებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების სათანადო დონის მიღწევას; მას ანიჭებს შესაბამისი სტატუსისა და სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებელი და დასტურდება მის მიერ გაცემული სახელმწიფო სერთიფიკატით.

7. ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ საგანმანათლებლო სერთიფიკატს აქვს საქართველოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატის იურიდიული ძალა.

მუხლი 8. საგანმანათლებლო პროგრამები

1. საქართველოში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი და პროფესიული განათლების პროგრამები.

2. ზოგადი განათლების პროგრამა მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.

3. პროფესიული განათლების პროგრამა მოიცავს სახელობო მომზადების, დაწყებითი საშუალო, უმაღლეს და უმაღლესის შემდგომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

4. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მეიცავს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ ძირითად ნაწილს (სავალდებულო მინიმუმს).

5. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამა ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ძირითადი ნაწილის გარდა მეიცავს დამატებით ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო დაკვეთას.

6. სხვა საგანმანათლებლო პროგრამები ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ ძირითად ნაწილთან ერთად შეიძლება შეიცავდნენ დამატებით ნაწილებსაც.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მინიმუმი (გარდა სახელობო მომზადებისა და უმაღლესის შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამისა) განათლების ყველა საფეხურზე სასწავლო დისციპლინად მეიცავს ფიზიკურ აღზრდას, ხოლო საბაზო განათლების საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეთა შრომით აღზრდას და სახვით და მუსიკალურ ხელოვნებასთან ზიარებას.

8. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ნაწილი სასწავლო დისციპლინებად მეიცავს ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიას.

9. საქართველოში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც ასრულებენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, სავალდებულოა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება, ხოლო მათში, რომლებიც ასრულებენ პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, — ქართული ენის სწავლება.

10. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამა საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე საქართველოს მოქალაქეებისათვის ითვალისწინებს სამხედრო მომზადებას სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 9. განათლების მიღების ფორმა

1. განათლების მიღება შეიძლება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრებული სწავლებისა და ექსტერნატის (საოჯახო განათლების, დაუსწრებელი, დისტანციური სწავლების და სხვა) ფორმით. დაწყებითი განათლების მიღება ექსტერნატის ფორმით შეიძლება მხოლოდ სასკოლო ოლქის სამმართველოს გადაწყვეტილებით.

2. საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფოს მიერ შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ დასწრებული ფორმით სწავლება.

3. პირს, რომელმაც განათლება ექსტერნატის ფორმით მიიღო, უფლება აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით ჩააბაროს საატესტაციო გამოცდები და შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატის მიღების შემდეგ მომდევნო ეტაპზე სწავლა განაგრძოს ნებისმიერი ფორმით.

4. იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხას, რომელთა ატესტაცია და სერთიფიცირებაც აკრძალულია, თუ შესაბამისი განათლება მიღებულია ექსტერნატის ფორმით, შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად ადგენს საქართველოს განათლების სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 10. სკოლამდელი აღზრდა

1. სკოლამდელი აღზრდის მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს, ნებისყოფის ფორმირებას, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის განმტკიცებას.

2. სკოლამდელი აღზრდა ხდება ოჯახში ან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

მუხლი 11. ზოგადი განათლება

1. ზოგადი განათლება უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი რგოლია. ზოგადი განათლების პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მიერ ზოგადი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების შეთვისება, ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ზნეობრივ ღირებულებათა შემეცნება, პიროვნული შემოქმედებითი მიდრეკილებებისა და აზროვნების განვითარება, შრომის უნარის გამომუშავება, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარება, სამოქალაქო-დემოკრატიული და ეროვნულ-კულტურულე შეგნების ჩამოყალიბება.

2. დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება, შესაბამისად, ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახის სასწავლო დაწესებულებებში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო სკოლები, ლიცეუმი, გიმნაზია...).

3. დაწყებითი ზოგადი განათლების მიღება უფლებას იძლევა:

ა) სწავლის გაგრძელებისა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე;

ბ) სახელობო მომზადებისა კანონმდებლობით დადგენილი ასაკიდან.

4. საბაზო ზოგადი განათლების მიღება იძლევა სწავლის გაგრძელების უფლებას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე, აგრეთვე პროფესიული განათლების დაწყებით და საშუალო საფეხურებზე კანონმდებლობით დადგენილი ასაკიდან.

5. საშუალო ზოგადი განათლების მიღება იძლევა სწავლის გაგრძელების უფლებას უმაღლეს სასწავლებელში.

6. დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ექვსწლიანია. საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს ამ პროგრამას, პირველ კლასში მიიღებიან ბავშვები, რომელთაც უკვე შეუსრულდათ ან მიმდინარე წელს უსრულდებათ 6 წელი. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს 14 წლის ასაკის მიღწევამდე.

7. საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სამწლიანია. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურზე პროგრამა დასრულდება მე-9 კლასში. ამ საფეხურზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლემ შეიძლება ისწავლოს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

8. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სამწლიანია.

9. საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ასრულებენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების დროს, აგრეთვე არდადეგების დროსა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს საქართველოს განათლების სამინისტრო.

მუხლი 12. პროფესიული განათლება

1. სახელობო მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელობის დაუფლება. სახელობო მომზადება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს დაწყებითი ზოგადი განათლება. პირს, რომელსაც მიღებული არა აქვს საბაზო განათლება, 18 წლის ასაკის მიღწევამდე უფლება აქვს სახელმწიფოს ხარჯზე ერთხელ მიიღოს სახელობო მომზადება.

2. დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება, პროფესიული ცოდნის მიღება და კვალიფიციური სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელობის დაუფლება. დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საბაზო ზოგადი განათლება. დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შეიძლება როგორც საშუალო ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად, ასევე მის გარეშეც.

3. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საშუალო რგოლის სპეციალისტების მომზადება. საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საბაზო განათლება. საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება როგორც საშუალო ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად, ასევე მის გარეშეც.

4 უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაბამისი პროფესიის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების, სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადება და გადამზადება. უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საშუალო ზოგადი განათლება.

5. პროფესიული განათლების უმაღლესის შემდგომი საფეხურები იქმნება მხოლოდ უმაღლეს საწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, აგრეთვე სათანადო სამედიცინო კადრებითა და მატერიალური ბაზით აღჭურვილ კლინიკებთან.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი სახისა და საფეხურის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მუხლი 13. არატიპური და დამატებითი განათლება

1. ქვეყნის ეროვნულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს განსაკუთრებული ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ მოზარდთათვის სპეციალური პროგრამებით განათლების მიღებას, ამგვარი პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო დაწესებულებების ფუნქციონირებას, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად.

2. სახელმწიფო ქმნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების გარდა დამატებითი განათლების მიღების პირობებს სხვადასხვა ფორმით ორგანიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამ დაწესებულებათა საქმიანობა შეიძლება დაფინანსდეს როგორც ფასიანი მომსახურებით, ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და კანონით დაშვებული სხვა წესით.

მუხლი 14. პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

1. პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზანია პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება და განახლება, აგრეთვე ახალი პროფესიის მიღება, რაც შეიძლება განაპირობოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შეცვლამ, მოქალაქეთა სურვილმა და შრომის ბირჟაზე ცვლილებებმა.

2. პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ასრულებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს როგორც სახელმწიფო დაკვეთით, ასევე საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ან ცალკეულ პირებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. და დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით.

მუხლი 15. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები

1. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახეები განისაზღვრება სახელმწიფო სტანდარტით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება იურიდიული პირია, ავტონომიურია ამ კანონითა და საკუთარი წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში.

3. საგანმანათლებლო დაწესებულება:

ა) დამოუკიდებლად წარმართავს სასწავლო პროცესს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული საგანმანათლებლო პროგრამების, ზოგადი მეთოდიკების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის საფუძველზე;

ბ) უფლებამოსილია მიიღოს როგორც საბიუჯეტო დაფინანსება, ასევე სხვა ფინანსური და მატერიალური რესურსები და ამ კანონისა და თავისი წესდების შესაბამისად განკარგოს ისინი. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოგება ხმარდება მხოლოდ დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ ამოცანებს;

გ) თავისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად თანამშრომლობს სხვა, მათ შორის უცხოეთის, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

4. სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია გასცეს შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატი, ხოლო ლიცენზირებული, მაგრამ არააკრედიტებული — შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის ფორმას განსაზღვრავს თვით საგანმანათლებლო დაწესებულება.

თავი მესამე
განათლების სისტემის მართვა

მუხლი 16. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება განათლების სფეროში

პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს განათლების სახელმწიფო პროგრამისა და პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს კანონშემოქმედებითი საქმიანობით და განაპირობებს მათ შესრულებას შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების საბიუჯეტო უზრუნველყოფის მეშვეობით;

ბ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლების სამინისტროს მოხსენებას განათლების სფეროში სახელმწიფო პროგრამის შესრულების შესახებ.

მუხლი 17. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება განათლების სფეროში

1. პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას განათლების სფეროში.

2. პრეზიდენტი ამტკიცებს:

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) მასთან არსებულ სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებას და პერსონალურ შემადგენლობას;

გ) სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებს სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე;

დ) იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხას, რომელთა მიღებაც დასტურდება სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით;

ე) იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხას, რომელთა სერთიფიცირებაც აკრძალულია, თუ შესაბამისი განათლება მიღებულია ექსტერნატის ფორმით;

ვ) სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს;

ზ) საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დახურვის შესახებ.

3. პრეზიდენტი წყვეტს:

ა) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საკითხს სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს მიერ ატესტაციის შედეგების განხილვით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

ბ) სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შექმნის საკითხს;

გ) სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს მიერ მომზადებულ საკითხს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნის შესახებ.

4. პრეზიდენტი განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების ოდენობას და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტში მისი ასახვისათვის.

მუხლი 18. საქართველოს განათლების სამინისტროს უფლებამოსილება განათლების სფეროში

1. განათლების სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას განათლების სფეროში.

2. განათლების სამინისტრო შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსასაზღვრავად შეიმუშავებს ღია კონკურსის საფუძველზე მომზადებულ საგანმანათლებლო პროგრამების, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების პროექტებს.

3. განათლების სამინისტრო ამტკიცებს შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად შემუშავებულ შემდეგ საკითხებს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო დაკვეთის განთავსების პროექტს;

ბ) სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს;

გ) სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესრულების კონტროლის წესს;

დ) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირების კრიტერიუმებს, პირობებსა და წესებს;

ე) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა, პედაგოგთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ატესტაციის კრიტერიუმებსა და წესებს;

ვ) საგანმანათლებლო (გარდა უმაღლესი) დაწესებულებათა აკრედიტაციის კრიტერიუმებს, პირობებსა და წესებს;

ზ) ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულებას;

თ) ერთიან სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატთა ნიმუშებს;

ი) აკადემიური ხარისხებისა და მათი მინიჭების დებულებას;

კ) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატისთვის სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის მინიჭების პირობებსა და წესს;

ლ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ტიპურ დებულებებს.

4. განათლების სამინისტრო:

ა) აკონტროლებს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას;

ბ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს განათლების სისტემის მართვის ორგანოებს;

გ) ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას;

დ) ახორციელებს განათლების სისტემის სამეცნიერო-მეთოდური და საინფორმაციო უზრუნველყოფის, სახელმძღვანელოთა და დამხმარე ლიტერატურის შექმნისა და გამოცემის ორგანიზაციას;

ე) ატარებს საგანმანათლებლო დაწესებულებათა, პედაგოგთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ატესტაციას;

ვ) ამტკიცებს საშუალო პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთა სახელმწიფო საატესტაციო-საგამოცდო კომისიათა შემადგენლობას;

ზ) ახდენს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირებას, რომლებიც ასრულებენ უმაღლეს, უმაღლესის შემდგომ და სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

თ) წყვეტს საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საკითხს; სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საკითხს, გარდა ამ კანონის 20.5 და 22.1. ე) მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა (უფლებამოსილია ეს უფლება გადასცეს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სასკოლო ოლქის სამმართველოს);

ი) უფლებამოსილია, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა უმაღლესი) ატესტაციის საფუძველზე, გააუქმოს მისი აკრედიტაცია;

კ) უფლებამოსილია ლიცენზირების პირობების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს წინაშე დასვას საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზიის გაუქმების, აგრეთვე მათი ლიკვიდაციის საკითხი;

ლ) შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ლიკვიდაციის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს; შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ;

მ) იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ;

ნ) ქმნის სასკოლო ოლქებს, განსაზღვრავს სასკოლო ოლქის სამმართველოს სტრუქტურასა და ადგენს მის დებულებას. სამხარეო მმართველობის ორგანოს წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასკოლო ოლქის ხელმძღვანელს;

ო) შეიმუშავებს და ამტკიცებს ავტონომიურ რესპუბლიკაში, სასკოლო ოლქში შემავალი განათლების მართვის ქვემდგომი ორგანოს — განათლების განყოფილების ტიპურ დებულებებს;

პ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს განათლების განყოფილების ხელმძღვანელს;

ჟ) ზემოაღნიშნულ ფუნქციათა განსახორციელებლად ქმნის მუდმივ და დროებით სამსახურებს როგორც ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე საზოგადოებრივ საწყისებზე.

5. განათლების სამინისტროს ფუნქციები, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და მისი დებულებით.

(გაგრძელება მე-5 გვ).

პროექტი საქართველოს კანონი განათლების შესახებ

მუხლი 19. საქართველოს დარგობრივ სამინისტროთა უფლებამოსილება განათლების სფეროში

1. დარგობრივი სამინისტროები მონაწილეობენ ამ კანონის მე-[?] მუხლის მე-4 პუნქტის „ა, გ, დ, ე, ვ, ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საკითხთა გადაწყვეტაში და ახორციელებენ ამ კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ეკონომიკის სამინისტრო განათლების, ფინანსთა და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად შეიმუშავებს განათლების სფეროში:

ა) სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს და მათთან შეთანხმებით ამტკიცებს მათ;

ბ) სახელმწიფო დაკვეთის პროექტს და წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

3. ფინანსთა სამინისტრო ადგენს:

ა) ამ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის წესს;

ბ) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოტაციის გაცემის წესს და უზრუნველყოფს მის შესრულებას.

მუხლი 20. აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროთა უფლებამოსილება განათლების სფეროში

აფხაზეთის განათლების სამინისტრო, აჭარის განათლების სამინისტრო:

1. თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე განათლების მართვის ძირითადი რგოლია. იგი მონაწილეობს განათლების სფეროში ქვეყნის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე ატარებს ამ პოლიტიკას;

2. თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს მათ შესრულებას;

3. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების შესაბამისობას;

4. ახდენს იმ საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირებას, რომლებიც ასრულებენ ყველა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროგრამებისა;

5. თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე ატარებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციასა და აკრედიტაციას, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ დაწყებით და/ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებო პროგრამებს;

6. შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად ატარებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციასა და აკრედიტაციას, რომლებიც ასრულებენ სახელობო მომზადებისა და დაწყებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

7. უფლებამოსილია, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაციის საფუძველზე, გააუქმოს ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში დასახელებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია;

8. უფლებამოსილია, ლიცენზირების პირობების დარღვევის შემთხვევაში, თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე გააუქმოს საალმზრდელო და ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში დასახელებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზია და სასამართლოს წინაშე დასვას მათი ლიკვიდაციის საკითხი;

9. იღებს გადაწყვეტილებას თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საალმზრდელო დაწესებულებათა დახურვის შესახებ;

10. თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ქმნის განათლების განყოფილებებს საქართველოს განათლების სამინისტროს ტიპური დებულების შესაბამისად;

11. მმართველობის ადგილობრივი ორგანოს წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე განათლების განყოფილების ხელმძღვანელს;

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით ნიშნავს სახელმწიფო საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულების დირექტორს.

მუხლი 21. სასკოლო ოლქი, სასკოლო ოლქის სამმართველოს უფლებამოსილება

1. სასკოლო ოლქი განათლების სისტემის მართვის საშუალედო რგოლია და მოიცავს სამხარეო მმართველობის შესაბამის ტერიტორიას. მხარეში შემავალ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან იგი ქმნის განათლების მართვის ქვემდგომ ორგანოს – განათლების განყოფილებებს, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება განათლების სამინისტროს ტიპური დებულებით.

2. სასკოლო ოლქს ხელმძღვანელობს სასკოლო ოლქის სამმართველო, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და სამმართველოს დებულებით. სასკოლო ოლქის სამმართველოს დაფინანსება ხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

3. სასკოლო ოლქის სამმართველო:

ა) სასკოლო ოლქის ფარგლებში ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მათ შესრულებას;

ბ) სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების შესაბამისობას;

გ) ახდენს იმ სასწავლო-საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირებას, რომლებიც ასრულებენ ყველა სახის საგანმანათლებლო პროგრამებს გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროგრამებისა;

დ) თავის ქვემდებარე ტერიტორიაზე ატარებს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციასა და აკრედიტაციას, რომლებიც ასრულებენ დაწყებით და/ან საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო, სახელობო მომზადებისა და დაწყებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით ნიშნავს სახელმწიფო სასწავლო-საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულების დირექტორს;

მუხლი 22. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილება განათლების სფეროში

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო:

ა) ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შესასრულებლად გამოყოფილი ფინანსური სახსრების ოდენობას საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სასკოლო ოლქს დასანიშნად წარუდგენს სახელმწიფო საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელის კანდიდატურას;

გ) საქართველოს განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დასანიშნად წარუდგენს განათლების განყოფილების ხელმძღვანელის კანდიდატურას;

დ) უფლებამოსილია დაგეგმილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადამეტების ხარჯზე ხელი შეუწყოს სასწავლო-საგანმანათლებლო და საალმზრდელო დაწესებულებათა განვითარებას და გაზარდოს სახელმწიფოს ხარჯზე მოსწავლეთა კონტინგენტი.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ქმნის სასწავლო პროცესის განხორციელების, სკოლისგარეშე აღზრდისა და დასვენების აუცილებელ პირობებს: ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.

მუხლი 23. საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ხასიათისაა და ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციისა და პედაგოგიური (სამეცნიერო) საბჭოს მიერ, რომელთა სტრუქტურა, შექმნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპური დებულებებითა და საკუთარი წესდებით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შესაძლებელია საკონსულტაციო ფუნქციის მქონე სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნა.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს:

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა) დირექტორი, რომელსაც დაწესებულების წესდების შესაბამისად ნიშნავს:

– სასკოლო ოლქის სამმართველო მესაკუთრის (დამფუძნებლის) თანხმობით, თუ დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლოა,

– სასკოლო ოლქის სამმართველო შესაბამის დარგობრივ სამინისტროსთან შეთანხმებით და მესაკუთრის (დამფუძნებლის) თანხმობით, თუ დაწესებულება პროფესიულ-საგანმანათლებლოა,

ბ) სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი, რომელსაც ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი;

გ) არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი (რექტორი), რომელსაც დაწესებულების წესდების შესაბამისად ნიშნავს მესაკუთრე (დამფუძნებელი).

4. ა) დირექტორის (რექტორის) დანიშვნის (არჩევის) ვადა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, მაგრამ არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები;

ბ) თანამდებობიდან დირექტორის (რექტორის) გათავისუფლების წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტრი (რექტორი) ხელშეკრულების საფუძველზე, წესდებით განსაზღვრული წესით, სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს პედაგოგიურ პერსონალს და სხვა მუშაკებს. დირექტორი (რექტორი) პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოსთან ერთად ადგენს დადგენილი წესის შესაბამისად პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ატესტაციის გაველის განრიგს.

6. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური (სამეცნიერო) საბჭო: ა) არჩევითი ორგანოა, რომლის შექმნის წესი განისაზღვრება საგანამანათლებლო დაწესებულების წესდებით;

ბ) წარმართავს საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო საქმიანობას;

გ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებს და დაწესებულების წესდების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს მესაკუთრეს (დამფუძნებელს).

7. საგანმანათლებლო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვის პროექტს პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს დაწესებულების ადმინისტრაცია და თავისი წესდების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს მესაკუთრეს (დამფუძნებელს).

8. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ტიპური დებულების საფუძველზე ადგენს მოსწავლეთათვის (სტუდენტთათვის) საბიუჯეტო დაფინანსებიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის პირობებსა და წესს.

9. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს არასაბიუჯეტო ფინანსური რესურსების არსებობის შემთხვევაში დანიშნოს სახელმწიფო სტიპენდიებისა და ხელფასების დანამატები, დანიშნოს თავისი სტიპენდიები, გასცეს პრემიები, ჯილდოები, ფინანსური დახმარებები. მათი დანიშვნის პირობები და წესი განისაზღვრება ადმინისტრაციის მიერ პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოსთან შეთანხმებით. ადმინისტრაციის წევრთათვის ხელფასის დანამატის დანიშვნის, პრემიის, ჯილდოსა და ფინანსური დახმარების გაცემის საკითხს წყვეტს პედაგოგიური (სამეცნიერო) საბჭო.

10. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია ხელს უწყობს არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვას.

11. პედაგოგიურ (სამეცნიერო) საბჭოს ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი (რექტორი).

თავი მეოთხე
სამართლებრივი ურთიერთობები განათლების სისტემაში

მუხლი 24. საგანმანათლებლო დაწესებულების მესაკუთრე (დამფუძნებელი)

1. საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

ბ) იურიდიული ან ფიზიკური პირი;

გ) ზემოაღნიშნულ სუბიექტთა ნებისმიერი გაერთიანება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, ტერიტორიული ერთეული, ადგილობრივი თვითმმართველობა, იურიდიული ან ფიზიკური პირი, აგრეთვე დაფუძნების ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ზემოთჩამოთვლილ სუბიექტთა ნებისმიერი გაერთიანება.

3. ურთიერთობა მესაკუთრესა (დამფუძნებელსა) და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის რეგულირდება დაწესებულების წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით.

4. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებად ითვლება ის დაწესებულება, რომლის ერთადერთი მესაკუთრეა საქართველოს სახელმწიფო, ტერიტორიული ერთეული ან ადგილობრივი თვითმმართველობა, ან მხოლოდ მათი ნებისმიერი გაერთიანება.

5. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის მესაკუთრე (დამფუძნებელი) შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო.

6. გადაწყვეტილებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების შესახებ, განათლების, ეკონომიკის, ფინანსთა და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების დასაბუთების საფუძველზე, იღებს საქართველოს პრეზიდენტი. ეს გადაწყვეტილება აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში და განიხილება, როგორც სახელმწიფო დაკვეთა.

7. საბიუჯეტო დაფინანსებით სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნების უზრუნველყოფის შემთხვევაში, სასწავლებელს სახელმწიფოს სახელით და კანონით დადგენილი წესით აფუძნებს საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელიც ამ და შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოადგენს სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს.

8. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის წესდებით გათვალისწინებული საქმიანობა სახელმწიფო დაკვეთის ფარგლებში უზრუნველყოფილია საბიუჯეტო დაფინანსებით.

9. გადაწყვეტილებას სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლისა) დაფუძნების შესახებ იღებს საქართველოს განათლების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სასკოლო ოლქის სამმართველო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შესაბამის ბიუჯეტში ასახული დაფინანსებით სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების უზრუნველყოფის შემთხვევაში მას კანონით დადგენილი წესით აფუძნებს ზემოაღნიშნული ორგანო.

10. საგანმანათლებლო დაწესებულების ან მესაკუთრის (დამფუძნებლის) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან გარდაცვალების შემთხვევაში მათი უფლებები გადადის შესაბამის სამართალმემკვიდრეებზე.

11. იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მესაკუთრე (დამფუძნებელი), რომელიც ახორციელებს სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო.

მუხლი 25. საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება

1. საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს თავისი წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, სტატუსი, მისამართი;

ბ) მესაკუთრე (დამფუძნებელი);

გ) საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოგების მინიმალური წილის ოდენობა, რომელიც ხმარდება მხოლოდ დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ ამოცანებს და არ ნაწილდება მესაკუთრეთა (დამფუძნებელთა) შორის:

ე) საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი;

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა (სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი საფეხურებისა და სახეების მითითებით), სასწავლო პროცესის მიზანი;

ზ) სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ძირითადი მახასიათებლები;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა (სტუდენტთა) მიღების ზოგადი წესები;

ი) საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოსწავლის (სტუდენტის) გარიცხვის საფუძველი და წესი;

კ) მოსწავლეთა (სტუდენტთა) შეფასების სისტემა და წესები;

ლ) საგანმანათლებლო ცენზის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემის წესი;

მ) სასწავლო პროცესის რეჟიმი;

ნ) ამ კანონით დაშვებული ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის სახეები;

ო) ფასიანი საგანმანათლებლო საქმიანობის სახეები;

პ) სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი;

ქ) მესაკუთრის (დამფუძნებლის) და საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულება მოსწავლის (სტუდენტის) წინაშე საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება შესაბამისობაშია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შესაბამისი სახის საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპურ დებულებასთან.

მუხლი 26. საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რეგისტრაცია, ლიცენზირება

1. საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნისა და რეგისტრაციის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა კანონებით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებას წესდებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყების უფლება აქვს ლიცენზიის მიღების შემდეგ, რომელსაც გასცემს ამ კანონით განსაზღვრული და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე განათლების სისტემის მართვის ორგანო.

3. ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

ა) განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, თუ რომელი საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოითხოვება ლიცენზია და მოსწავლეთა (სტუდენტთა) კონტინგენტის ზღვრული რაოდენობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ცნობა;

გ) რეგისტრაციის მოწმობა;

დ) წესდება;

ე) საგანამანათლებლო პროგრამის შემსრულებელ პედაგოგთა მონაცემები და მათი თანხმობა;

ვ) ცნობები სასწავლებელში სარეალიზებო ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებისთვის საჭირო სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შესახებ (საკუთრება ან იჯარა, სულ ცოტა, საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებისთვის საჭირო ვადით).

4. ლიცენზიის გამცემი, საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, განაცხადის მიღებიდან ერთი თვის ვადაში წყვეტს ლიცენზიის გაცემის საკითხს და ამის შესახებ აცნობებს მესაკუთრეს (დამფუძნებელს). ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს საგანმანათლებლო დაწესებულება.

5. ლიცენზიის გაცემაზე უარი ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელმაც ეს საქმე ერთი თვის ვადაში უნდა განიხილოს.

6. ლიცენზიაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საგანმანათლებლო პროგრამები და კონტინგენტის ზღვრული რაოდენობა.

7. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ასამოქმედებლად აუცილებელია შესაბამისი ლიცენზიის მიღება.

8. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტების და/ან ნორმატივების შეცვლა საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან მოითხოვს ლიცენზირების დამატებითი პირობების შესრულებას, იგი ვალდებულია ცვლილებიდან ერთი წლის ვადაში შეასრულოს ეს პირობები და აიღოს შესაბამისი ლიცენზია. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

9. საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზია უვადოა.

10. ლიცენზია უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილებით შემდეგ შემთხვევებში;

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციისას;

ბ) თუ ლიცენზიის გაცემიდან ერთი წლის განმალობაში არ დაიწყო სასწავლო პროცესი;

გ) თუ შეწყდა და ერთი წლის განმაველობაში არ განახლდა სასწავლო პროცესი;

დ) თუ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაარღვია ლიცენზიის პირობები და დარღვევის გამოსასწორებლად მიცემულ ვადაში არ გამოასწორა იგი;

ე) თუ საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაარღვია ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი პირობები.

11. საგანმანათლებლო დაწესებულების ფილიალის გახსნა საჭიროებს შესაბამისი ლიცენზიის მიღებას.

12. ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს ლიცენზიით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის შესრულების უფლებას.

მუხლი 27. საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაცია და აკრედიტაცია

1. საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაციის მიზანია ლიცენზიის პირობებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვის, მისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგომარეობის შემოწმება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაციის საფუძველზე გაიცემა სახელმწიფო აკრედიტაციის მოწმობა, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესრულებას და უფლებას აძლევს მას გასცეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატი.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაციასა და აკრედიტაციას ატარებს ამ კანონით განსაზღვრული და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაციისა და აკრედიტაციის პირობები, ვადები და წესი განისაზღვრება ამ კანონითა და შესაბამისი დებულებებით.

5. ერთმანეთის მომდევნო ატესტაციებს შორის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შესრულების ვადას.

6. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სახელმწიფო აკრედიტაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი ატესტაცია ტარდება ექვსი თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს იმავე სასწავლო წლის დასრულებამდე, თუ მოთხოვნა სასწავლო წლის დასრულებამდე სულ ცოტა სამი თვით ადრე იქნა წარდგენილი.

7. ატესტაციის შედეგად დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცემა სახელმწიფო აკრედიტაციის მოწმობა, რომელშიც აღინიშნება, რა სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზისა და აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და რომელი სახელმწიფო სერთიფიკატის გაცემის უფლება აქვს მას.

8. ატესტაციის შედეგად უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს ხელახალი ატესტაციის ჩატარება მოითხოვოს მხოლოდ დასკვნის მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ და იგი უნდა ჩატარდეს იმავე სასწავლო წლის განმავლობაში, თუ სასწავლო წლის დასრულებამდე სულ ცოტა ერთი თვეა დარჩენილი.

9. თუ ამ კანონით განსაზღვრული და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე განათლების სისტემის მართვის ორგანომ არ უზრუნველყო ატესტაციის ჩატარება ამ მუხლით დადგენილ ვადებში, ჩაითვლება, რომ ატესტაციის შედეგი დადებითია.

10. ამ მუხლით დადგენილი ატესტაციის ხარჯებს იხდის საგანმანათლებლო დაწესებულება. სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების გეგმური ატესტაცია ტარდება სახელმწიფოს ხარჯზე.

11. სახელმწიფო სტანდარტის შეცვლისას შეიძლება დადგინდეს აკრედიტაციის ხელახლა მიღების აუცილებლობა.

12. სახელმწიფო აკრედიტაციის გაუქმება ხდება:

ა) ლიცენზიის გაუქმებისას;

ბ) იმ პროფესიის ან სპეციალობის გაუქმებისას, რომლის მიღებაც დასტურდებოდა სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით;

გ) თუ ატესტაციის ჩატარებისას მიღებული უარყოფითი დასკვნიდან ერთი წლის თავზე ჩატარებული სავალდებულო ატესტაციის დასკვნა კვლავ უარყოფითი იქნა.

მუხლი 28. საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია რეგულირდება საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციისას მისი წესდება, რეგისტრაცია, ლიცენზია და სახელმწიფო აკრედიტაცია ძალადაკარგულად ითვლება.

3. საგანმანათლებლო დაწესებულება ლიკვიდირებულად ცხადდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ლიცენზიის გაუქმებიდან ერთი წლის განმავლობაში ახალი არ იქნა აღებული, ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 29. უხარისხო სწავლებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უხარისხო სწავლებით (სახელმწიფო ლიცენზიის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის, სწავლების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევით, აგრეთვე, საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან შეუსაბამო სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტით ან სახელმწიფო საგანამანათლებლო პროგრამით სწავლება) მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ამ დაწესებულების სახსრებიდან.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უხარისხო სწავლებით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ სწავლების მიღებაზე გაწეული ხარჯების ოდენობამდე.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც აანაზღაურა საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან შეუსაბამო სახელმწიფო სტანდარტით ან სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებისაგან მიყენებული ზიანი, აქვს სახელმწიფოსადმი უკუმოთხოვნის (რეგრესის) უფლება ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხის ოდენობით.

მუხლი 30. ხელშეკრულება საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სტუდენტს (მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს) შორის

სასწავლებელში მიღებისას საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სტუდენტს (მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს) შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული:

ა) უფასო და/ან ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების სახეები და მათი შესრულების პირობები:

ბ) მოსწავლეთა (სტუდენტთა) შრომითი საქმიანობის პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში);

გ) პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას, სტუდენტს, მოსწავლეს, მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებისა და ამ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე აღნიშნული დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურების პირობები.

მუხლი 31. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი

1. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი, რომელიც ასრულებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, შეიძლება იყოს პირი, რომლის პედაგოგიური განათლებაც დადასტურებულია შესაბამისი პროფესიის აღმნიშვნელი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატით, რომლის უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატიც ნოსტრიფიცირებულია ქვეყანაში ან მას მინიჭებული აქვს შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზი.

2. პირს, რომელსაც პედაგოგიური განათლება არ მიუღია, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შემსრულებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება ეძლევა მხოლოდ სახელმწიფო ატესტაციის გავლის შემდეგ. შესაბამის დისციპლინათა ნუსხა, მათი შინაარსის სავალდებულო მინიმუმი, ატესტაციის კრიტერიუმი და წესი განისაზღვრება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგის სამუშაოზე მიღება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, კონკურსის წესით ან მის გარეშე. ხელშეკრულების შინაარსი და პირობები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობასა და საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას.

4. აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი პერიოდულად გადის ატესტაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო სერთიფიკატით.

5. აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი პერიოდულად იმაღლებს კვალიფიკაციას სახელმწიფო დაკვეთის ხარჯზე შესაბამისი სახელმწიფო აკრედიაციის მქონე საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, რაც პედაგოგის პერიოდული ატესტაციის ერთ-ერთ საფეხურად ითვლება და შესაბამისი სერთიფიკატით დასტურდება.

6. სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგები სარგებლობენ თანაბარი პროფესიული უფლებებით და შრომის ანაზღაურების ერთიანი სკალით.

7. პედაგოგიური მოღვაწეობის აკრძალვა ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 32. ინდივიდუალური პედაგოგიური მოღვაწეობა

1. ფიზიკურ პირს უფლება აქვს ეწეოდეს ინდივიდუალურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ლიცენზირების გარეშე.

2. ინდივიდუალური პედაგოგიური მოღვაწეობით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი და გადასახადის ოდენობა განისაზღვრება კანონით.

3. არარეგისტრირებული ინდივიდუალური პედაგოგიური მოღვაწეობისას პასუხისმგებლობა დგება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი მეხუთე
ეკონომიკური ურთიერთობანი განათლების სისტემაში

მუხლი 33. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრების უფლება

1. საგანმანათლებლო დაწესებულებას მისივე წესდებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნით ქონების მესაკუთრისაგან კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში სარგებლობს გადაცემული ქონებით და პასუხისმგებელია მის დაცვასა და მიზნობრივად გამოყენებაზე. ამ სფეროში საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს მესაკუთრე (დამფუძნებელი) ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანო (ორგანოები) ან პირი (პირები).

3. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებად ითვლება;

ა) საჩუქრად, შეწირულობის სახით ან ანდერძით გადაცემული ფინანსური სახსრები, ქონება და საკუთრების სხვა ობიექტები;

ბ) წესდებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საგამომგონებლო და ამ კანონით დაშვებული სხვა საქმიანობის მიღებული შემოსავალი და ამ შემოსავლით შეძენილი ქონება და საკუთრების სხვა ობიექტები.

4. საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოცხადდეს გაკოტრებულად.

5. საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის ან გაკოტრებისას მისი საკუთრება გამოიყენება ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, ხოლო ნაშთი განაწილდება წესდების შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

(დასასრული მე-6 გვ).

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. მე-4 გვ.

პროექტი

საქართველოს კანონი განათლების შესახებ

მუხლი 34. სახელმწიფო ფინანსური ნორმატივები განათლების სფეროში

1. განათლების სფეროში სახელმწიფო ფინანსური ნორმატივი წარმოადგენს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხების ოდენობას, ნორმატივები დგინდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისა და სტანდარტისათვის, პროგრამის ყოველი სასწავლო წლისათვის, ერთი მოსწავლისა და სტუდენტისათვის.

2. განათლების სფეროში სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს განათლების, ფინანსთა და შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან ერთად შეიმუშავებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და მათთან შეთანხმებით ამტკიცებს მათ.

მუხლი 35. სახელმწიფო დაკვეთა

1. სახელმწიფო დაკვეთა წარმოადგენს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასწავლო ადგილების რაოდენობას.

2. სახელმწიფო დაკვეთა განისაზღვრება სახელმწიფოს მოთხოვნილებით და ყოველწლიურად გამოიანგარიშება ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით გამოყოფილი თანხისა და შესაბამისი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივების საფუძველზე.

3. დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო დაკვეთის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება. ზოგადი განათლების პროგრამის დაფინანსება არ შეიძლება იყოს წინა წლის საბიუჯეტო დაფინანსებაზე ნაკლები.

4. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების შესრულების ღირებულება აღემატება სახელმწიფო ფინანსურ ნორმატივებს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მიეცემა შესაბამისი დოტაცია. დოტაციის ოდენობა განისაზღვრება ამ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 36. საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსები

1. საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების პირობები და წესი განისაზღვრება დაწესებულების წესდებითა და დაწესებულებასა და დამფინანსებელს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას სახელმწიფო დაკვეთის შესასრულებლად ყოველწლიურად გამოეყოფა საბიუჯეტო დაფინანსება. დაფინანსების ოდენობა გამოიანგარიშება ყოველი სახისა და საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ფინანსური ნორმატივებისა და მოცემულ დაწესებულებაში სახელმწიფოს ხარჯზე მყოფ მოსწავლეთა (სტუდენტთა) რაოდენობის მიხედვით. არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა საბიუჯეტო დაფინანსება, თუ იგი ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების სხვა წყაროებია:

ა) საჩუქრად, მეწირულობის სახით, ანდერძით ან გრანტით მიღებული ფინანსური სახსრები;

ბ) სახელმწიფოსთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (მათ შორის სხვა სახელმწიფოებიდან) დადებული ხელშერულებების რეალიზაციით მიღებული თანხები;

გ) სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებული დოტაციები, ბანკისაგან აღებული სესხი;

დ) მიზნობრივი სპეციალური სახსრები.

4. წლის ბოლოს დარჩენილი ფულადი სახსრების ნაშთი, მათი მიღების წყაროს მიუხედავად, რჩება საგანმანათლებლო დაწესებულებას და მისივე მეხედულებისამებრ გამოიყენება მომდევნო წელს.

მუხლი 37. საგანმანათლებლო დაწესებულების ფასიანი საგანმანათლებლო და სხვა სახის საქმიანობა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს საკუთარი წესდებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ეწეოდეს ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას (მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებას და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას). სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასური არ უნდა აღემატებოდეს ერთი მოსწავლის (სტუდენტის) სწავლებისთვის ამ კანონის 34. მე-2 და 35. მე-4 მუხლების შესაბამისად დადგენილი თანხის ოდენობას. სხვა შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებასა და მოსწავლის მშობელს (სტუდენტს) შორის.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია კანონმდებლობითა და თავის წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით:

ა) იჯარით გასცეს როგორც საკუთარი, ასევე მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით მისთვის გადაცეული ქონება;

ბ) დააფუძნოს საწარმო, შეიძინოს აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და განკარგოს ისინი.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) ამ მუხლის მე-2ბ პუნქტში აღნიშნული საქმიანობისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება არა აქვს გამოიყენოს საბიუჯეტო დაფინანსება, საგანმანათლებლო მომსახურების (დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების გარდა) საფასური და აღებული სესხი;

ბ) არასაბიუჯეტო შემოსავლების განსაზღვრული წილი უნდა მოხმარდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებას. ამ წილის ოდენობას განსაზღვრავს ადმინისტრაცია.

მუხლი 38. საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა შრომის ანაზღაურება

საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკის ხელფასის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს სახეს, მუშაკის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. დამატებითი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების ანაზღაურება ხდება სხვა შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 39. განათლების სისტემის განვითარების პრიორიტეტულობის სახელმწიფო გარანტიები

1. განათლების სისტემის საქმიანობის დასაფინანსებლად ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან განათლების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულება უპირატესი უფლებით სარგებლობს სახელმწიფო ქონების იჯარით აღებისა და შესყიდვისას, თუ ეს ქონება საგანმანათლებლო საქმიანობას უნდა მოხმარდეს.

3. პედაგოგის მინიმალური ხელფასი ნაკლები არ უნდა იყოს საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგს კანონმდებლობით უწესდება შემოკლებული სამუშაო დღე და გახანგრძლივებული ანაზღაურებადი შვებულება. სოფლად არსებული სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები სარგებლობენ კანონით დადგენილი სხვა შეღავათებითაც.

5. სახელმწიფო აწესებს საგადასახადო შეღავათებს, რათა სტიმული მიეცეთ:

ა) იურიდიულ პირებს, გასცენ გრძელვადიანი სასწავლო კრედიტები;

ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს:

– გაიღონ თავიანთი ფინანსური და მატერიალური სახსრები საქართველოს განათლების სისტემის განვითარებისათვის, მათ შორის, დააწესონ სტიპენდიები, პრემიები, გამოყონ გრანტები, გასცენ გრძელვადიანი სასწავლო კრედიტები;

– გამოსცენ სახელმძღვანელოები, აწარმოონ სწავლების საშუალებები, მოამარაგონ სასწავლო დაწესებულებები სწავლებისათვის საჭირო მატერიალური რესურსებით.

6. საქართველოს პრეზიდენტთან ბიუჯეტის ხარჯზე იქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც მუდმივად ზრუნავს ნიჭიერ ახალგაზრდებზე, ეხმარება მატერიალურად და უქმნის შესაძლებლობას ისწავლონ საქართველოს და საზღვარგარეთის წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებში, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში.

7. საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის დადგენილი საგადასახადო რეჟიმი დამოკიდებული არ არის საკუთრების სახეზე.

8. საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, თუ იგი არასამეწარმეო იურიდიული პირია, სახელმწიფო აწესებს საგადასახადო შეღავათებს.

9. საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოგების სულ ცოტა 80 პროცენტი ხმარდება მხოლოდ დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ ამოცანებს და არ ნაწილდება მესაკუთრეთა (დამფუძნებელთა) შორის, სახელმწიფო აწესებს საგადასახადო შეღავათებს.

თავი მეექვსე
სოციალური გარანტიები და უფლება-მოვალეობანი განათლების სფეროში

მუხლი 40. მოსწავლეთა (სტუდენტთა) უფლებები და სოციალური დაცვა

1. საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) მიიღოს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებით დადგენილი განათლება, მათ შორის, დაწყებითი და საბაზო განათლება, ხოლო კანონით დადგენილ ფარგლებში საშუალო და პროფესიული განათლებაც – სახელმწიფოს ხარჯზე;

ბ) განათლების მისაღებად ამოირჩიოს სახელმწიფო ან არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება, თუ მისი ცოდნის დონე და სხვა გარემოებანი იძლევიან ამის შესაძლებლობას;

გ) მიიღოს განათლება ექსტერნად და გაიაროს ატესტაცია (მათ შორის გამოსაშვები) სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ კლასში (კურსზე);

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა) სწავლისას გაიაროს დაჩქარებული კურსი ან ისწავლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;

ე) გადავიდეს ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან იმავე საფეხურზე მეორე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში;

ვ) სწავლის პერიოდში ეწეოდეს ისეთ შრომით საქმიანობას, რომელიც შეესაბამება მის ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2. აკრძალულია სასწავლო დროის ხარჯზე მოსწავლეთა (სტუდენტთა) ჩაბმა ისეთ მუშაობაში, რომელიც არ არის დაკავშირებული სასწავლო პროცესთან.

3. ზოგადი და დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, შესაბამისი სასკოლო ოლქის სამმართველო და მესაკუთრე (დამფუძნებელი) ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მოსწავლეთა გადაყვანა მათ მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენლებთან) შეთანხმებით შესაბამისი სახის სხვა დაწესებულებაში.

4. უმაღლესი სასწავლებლის ლიკვიდაციის შემთხვევაში სტუდენტების სწავლის გაგრძელებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში მათი გადაყვანისათვის პასუხისმგებელნი არიან თავად საგანმანათლებლო დაწესებულება და მესაკუთრე (დამფუძნებელი).

5. მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) მზრუნველობას მოკლებული ბავშვების შენახვა და სწავლება სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო, სახელობო მომზადების, დაწყებით და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, მოსწავლის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ხოლო წარმატებით სწავლის შემთხვევაში – საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

6. სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები (სტუდენტები) თანაბრად სარგებლობენ კანონმდებლობით მათთვის დადგენილი ყველა შეღავათით.

მუხლი 41. იმ ბავშვთა და მოზარდთა სოციალური დაცვა, რომლებიც აღზრდისა და განათლების განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებენ

1. იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაძლიეს დაწყებითი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა, აგრეთვე ნორმალური განვითარებიდან გადახრილი, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე მოსწავლეთათვის, ან მათთვის, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ მკურნალობას, განათლების სისტემის მართვის ორგანოები ქმნიან სპეციალურ და კორექციული ხასიათის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სადაც ხორციელდება ასეთი ბავშვების მკურნალობა, აღზრდა; სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სპეციალურ სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობისა და სპეციალური სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის საფუძველზე. თანხმობის არარსებობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო. ამგვარ საგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმწიფო აფინანსებს მაღალი ნორმატივებით.

2. იმ მოსწავლეებისათვის, რომელთათვისაც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის საშიში, ნორმიდან გადახრილი ქცევა და ამასთან, თუ მათ მიაღწიეს 11 წლის ასაკს, იქმნება სპეციალური სააღმზრდელო-სასწავლო დაწესებულებები. აღნიშნულ დაწესებულებებში სპეციალური პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა აღზრდა და სწავლება, სახელობო და/ან დაწყებითი პროფესიული მომზადება, პირობების შექმნა თვითგანვითარებისათვის. ასეთ სააღმზრდელო-სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეები იგზავნებიან მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 42. აღსაზრდელთა და მოსწავლეთა (სტუდენტთა) ჯანმრთელობის დაცვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულება აღსაზრდელებსა და მოსწავლეებს (სტუდენტებს) უქმნის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობებს. სასწავლო-შრომითი დატვირთვა, შინაგანაწესი, კვების პირობები და სანიტარიული ნორმები საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ნორმატივებს.

2. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო მომსახურებას.

3. მოსწავლეთათვის, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ მკურნალობას, იქმნება გამაჯანსაღებელი, მათ შორის სანატორიუმის ტიპის, საგანმანათლებლო დაწესებულებები.

4. აღსაზრდელთა, მოსწავლეთა (სტუდენტთა) სწავლის, დასვენებისა და შრომის პირობები განსაზღვრულია კანონმდებლობით და მათ დაცვაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და მესაკუთრე (დამფუძნებელი).

მუხლი 43. საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა უფლება-მოვალეობანი და სოციალური დაცვა

1. საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკის მოვალეობანი, შესასრულებელი სამუშაო, ხელფასი და სამსახურის ვადა განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და დაწესებულებასა და მუშაკს შორის დადებული ხელშეკრულებით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკს უფლება აქვს წესდებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.

3. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რამიც მას მუდმივად უნდა შეუწყონ ხელი განათლების სისტემის მართვის ორგანოებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებამ;

გ) დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა საპენსიო უზრუნველყოფას არეგულირებს საქართველოს საპენსიო კანონმდებლობა განათლების სფეროს პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. საპენსიო ასაკს მიუღწეველ პედაგოგიურ მუშაკს 25 წლის პედაგოგიური მუშაობისათვის ენიშნება და ეძლევა წელთა ნამსახურობის პენსია ხელფასის განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტის ოდენობით, რომელიც მას მიეცემა მუშაობის პერიოდში ან მისი შეწყვეტის შემდეგაც საპენსიო ასაკის მიღწევამდე.

მუხლი 44. მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) უფლება-მოვალეობა, სახელმწიფოს მხრიდან მათი ხელშეწყობა

1. მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) უფლება აქვთ:

ა) მოითხოვონ ბავშვის უფლებების დაცვა;

ბ) თავიანთ არასრულწლოვან შვილს, ბავშვს შეურჩიონ სწავლების ფორმა, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულება;

გ) მოსთხოვონ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას წესდების დაცვა და წესდების შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში.

2. მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები) ვალდებულნი არიან:

ა) იზრუნონ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის;

ბ) ჩაუნერგონ ბავშვს კანონის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა;

გ) შექმნან ბავშვის სწავლისათვის აუცილებელი პირობები; საოჯახო განათლების შემთხვევაში შეასრულონ დადგენილი მოთხოვნები;

დ) შეასრულონ საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

3. მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს), რომლებიც ეწინააღმდეგებიან ბავშვის განათლების მიღებას, ეკისრებათ კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

4. მშობლებს, რომელთა შვილებიც დაწყებით და საბაზო ზოგად განათლებას საოჯახო ფორმით იღებენ, სასკოლო ოლქის სამმართველო უწევს სათანადო დახმარებას (მეთოდიკურს, დიაგნოსტიკურს და ა.შ.).

5. მშობლებს, რომელთა შვილებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწყებით და საბაზო ზოგად განათლებას იღებენ საოჯახო ფორმით, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სასკოლო ოლქის გადაწყვეტილებით მიეცემა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი ფულადი კომპენსაცია.

თავი მეშვიდე
საერთაშორისო თანამშრომლობა განათლების სფეროში

მუხლი 45. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ ჩაერთონ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში, დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები სხვა ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, მათთან ერთად შექმნან საგანმანათლებლო დაწესებულებები და საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულია წინამდებარე კანონისაგან განსხვავებული წესები, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებას.

თავი მერვე
გარდამავალი დებულებები

მუხლი 46

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნამდე ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ახორციელებენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები (რაიონისა და ქალაქის გამგებელი, ქალაქის მერია, სოფლის, თემის, დაბის გამგებლები).

მუხლი 47

საქართველოს ტერიტორიულ სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თვითმმართველობის განსაზღვრამდე და შესაბამისი სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა შექმნამდე სიტყვები „სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები“შეიცვალოს სიტყვებით: „ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები“.

მუხლი 48

ამ კანონის მე-4 მუხლი და მე-8 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტები ძალაში შედიან ეტაპობრივად, მათში აღნიშნულ მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელი პირობების თანდათანობით შექმნის შემდეგ. აღნიშნული პირობების შესაქმნელად საქართველოს განათლების სამინისტრო ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშავებს ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის სწავლების სახელმწიფო პროგრამებს, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად შეიმუშავებს ამ პროგრამის დაფინანსების პროექტს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება აისახება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 49

ამ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული სამწლიანი პროგრამა იწყება 2001 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 50

პროფესიული, მათ შორის უმაღლესი და უმაღლესის შემდგომი განათლების შესახებ კანონების მიღებამდე ამ ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი რეგულირედბა წინამდებარე კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მუხლი 51

ამ კანონის ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულება და პერსონალური შემადგენლობა.

მუხლი 52

1. სასკოლო ოლქები უნდა შეიქმნას ამ კანონის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში.

2. სასკოლო ოლქის სამმართველოს შექმნამდე ამ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს განათლების სამინისტრო.

მუხლი 53

ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების დებულება, ხოლო ორი წლის განმავლობაში – სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამები.

მუხლი 54

1. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებიდან ექვსი თვის ვადაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს შესაბამისი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივები.

2. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს დროებითი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივები განათლების სფეროში და განისაზღვროს სახელმწიფო დაკვეთა ამ კანონის 34-ე, 35-ე და მე-19. 3 ბ) მუხლების შესაბამისად.

მუხლი 55

1. ამ კანონის 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები ძალაში შედის 2000 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს განათლების სამინისტრომ ამ კანონის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში უნდა განსაზღვროს იმ დისციპლინათა ნუსხა, მათი მინაარსის სავალდებულო მინიმუმი, ატესტაციის კრიტერიუმები და წესი, რომელთა ცოდნაც იძლევა პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებას ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შემსრულებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 56

ამ კანონის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს:

ა) სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სტანდარტი;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსები და ტიპური დებულებები;

გ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სამსახურის ტიპური დებულებები;

დ) სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზები და აკადემიური ხარისხები, მათი მინიჭების წესი; ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატების ნიმუშები;

ე) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დებულებები; ამ დაწესებულებათა პედაგოგთა, მოსწავლეთა და სტუდენტთა ატესტაციის დებულებები;

ვ) სახელმწიფო აკრედიტაციის არმქონე ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულება;

ზ) ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულება;

თ) იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხა, რომელთა ატესტაცია და სერთიფიცირებაც აკრძალულია, თუ შესაბამისი განათლება მიღებულია ექსტერნატის ფორმით;

ი) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატისათვის სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენზის მინიჭების დებულება. დებულების დამტკიცებამდე საგანმანათლებლო ცენზის მინიჭების საკითხს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წყვეტს საქართველოს განათლების სამინისტრო.

მუხლი 57

1. ამ კანონის შესაბამისად ლიცენზირების დებულების დამტკიცებიდან ორი წლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ამ კანონის ძალაში შესვლამდე ლიცენზირებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელახალი ლიცენზირება.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელახალ ლიცენზირებამდე ძალაშია ადრე გაცემული ლიცენზიები.

3. ამ კანონის შესაბამისად ლიცენზირების დებულების დამტკიცებამდე ლიცენზია არ გაიცემა.

მუხლი 58

1. ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ განიხილება მხოლოდ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საკითხი, რომლებმაც ამ კანონის შესაბამისად მიიღეს ლიცენზია ან 57-ე მუხლის შესაბამისად ჩაუტარდათ ხელახალი ლიცენზირება.

2. ამ კანონის შესაბამისად აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებები გასცემენ ერთიან სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატებს. ამ კანონის შესაბამისად აკრედიტაციის დებულების დამტკიცებამდე მოქმედი ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულებები სახელმწიფო აკრედიტაციის მიღებამდე, მაგრამ ამ კანონის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში, გასცემენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედ სახელმწიფო საგანმანათლებლო სერთიფიკატებს.

თავი მეცხრე
დასკვნითი დებულებები

მუხლი 59

ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულია ყველა ნორმატიული აქტი და ნორმატიული აქტების ცალკეული ნაწილები, რომლებიც არ შეესაბამება ამ კანონს.

მუხლი 60

ეს კანონი ძალაში შედის 1997 წლის... -დან.

დასასრული.
დასაწყისი იხ. მე-4-5 გვ.

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე კანონპროექტი წარმოადგენს განათლების სფეროში სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის შექმნა სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების აუცილებლობითაა ნაკარნახევი. სახელმწიფო საზოგადოების განათლებას, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებულ მოქალაქეთა ურყევი ნების აღსრულების განმსაზღვრელ პირობას, პრიორიტეტულ სფეროდ აცხადებს. პროექტით აღიარებულია განათლების მნიშვნელობა პიროვნების განვითარებისა და თვითრეალიზაციისათვის, ჩამოყალიბებულია სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

კანონპროექტის ამოცანებია: განათლების სფეროში საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა; განათლების სისტემის ჩამოყალიბება, მის მართვაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციის გამიჯვნა; განათლების სფეროში მონაწილე სამართალსუბიექტთა ურთიერთმიმართების და ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგება; მოქალაქეთა სოციალურ გარანტიათა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრა; საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობის დონისა და მათი მართვის პრინციპების განსაზღვრა.

კანონპროექტით ჩამოყალიბებულია საქართველოში სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე სასწავლო-სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების ერთიანი სისტემა. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებისთვის დაკისრებულია განათლების პროცესის პროგრამული უზრუნველყოფისა და შინაარსის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ფუნქცია და საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსის განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს.

კანონპროექტში მოცემულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირების, ატესტაციისა და აკრედიტაციის ზოგადი სქემა და პრინციპები, აგრეთვე განათლების სისტემის მართვის ორგანოთა კომპეტენცია აღნიშნულ საკითხთა მიმართებაში.

კანონპროექტი შედგება 9 თავისა და 60 მუხლისაგან. მასში ჩამოყალიბებულია ზოგადი დებულებები; განათლების სფეროში საქართველოს მოქალაქეების უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი; განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი განათლების სფეროში, მასში ეკონომიკური რეგულირების პრინციპები; ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა უფლება-მოვალეობანი; წარმოჩენილია განათლების სფეროში სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობები; პასუხისმგებლობა განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის.

კანონი აფიქსირებს სტანდარტიზაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს, რომელიც პრეზიდენტთან იქმნება გარდამავალი დებულებების 51-ე მუხლის მიხედვით კანონის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში და რომლის ფუნქციებიც ასეა განსაზღვრული: საბჭო

ა) საგანმანათლებლო სტანდარტების დასამტკიცებლად თავის დასკვნას წარუდგენს პრეზიდენტს;

ბ) განიხილავს განათლების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ატესტაციის ჩატარების შედეგებს და დასკვნას წარუდგენს პრეზიდენტს ამ დაწესებულებათა სახელმწიფო აკრედიტაციისათვის;

გ) უმზადებს საკითხს პრეზიდენტს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

წარმოდგენილი კანონპროექტი მომზადდა საქართველოს განათლების სამინისტროს, მისი საკონსულტაციო საბჭოს, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტისა და ამ კომიტეტთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მონაწილეობით.

გრინპისი გვაფრთხილებს: ქლორშემცველი ტარა საშიშია ჯანმრთელობისათვის



● პოლივინილქლორიდის (შემოკლებით პვქ) პლასტმასის ბოთლებში არსებული პროდუქტი შეიძლება სახიფათო გახდეს. მიზეზი ის არის, რომ მავნე ვინილქლორიდი ტარიდან გადადის პროდუქტში და წამლავს მას ამქვეყნად ყველაზე საშიში შხამით, რომელსაც აქვს ორგანიზმში დაგროვების უნარი.

გრინპისის ეკოლოგიური ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს თანამეგობრობის ტერიტორიის სამი მეოთხედი დაბინძურებულია ამ სუპერტოქსიკანტით. არადა, დიოქსინი მომაკვდინებელი ძალით უკან იტოვებს ყველა ცნობილ შხამს, მათ შორის, სტრიქნინს, კურარეს, ციანმჟავას.

იმათთვის, ვინც არ იცის: დიოქსინები ჩნდება იქ, სადაც წარმოებაში ქლორი გამოიყენება. უმთავრესად, ეს არის ცელულოზა-ქაღალდის, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობა. თუმცა, სულ არ არის სავალდებულო მუშაობდე მეფოლადედ ან ცელულოზის მხარშველად, პრაქტიკულად, ჩვენ ყველანი ვიმყოფებით რისკის ჯგუფში, ვინაიდან ვსარგებლობთ ქლორის მეშვეობით დამზადებული შეფუთვით, ვწერთ ქლორით გათეთრებულ ქაღალდზე, ბავშვებისათვის ვყიდულობთ თოჯინა ბარბის, ვაყენებთ ხის რაფების ნაცვლად პლასტმასის რაფებს, ვსვამთ წყალს პლასტმასის ბოთლებიდან.

ბევრ ქვეყანაში პვქ-ისაგან დამზადებულ ტარაში ჩამოსხმული ან შეფუთული პროდუქტები სახიფათოა ჯანმრთელობისათვის და რაც უფრო მეტხანს ინახება პროდუქტი, მით უფრო სახიფათო ხდება იგი.

რესპექტაბელურ ფირმებს არ ეშინიათ იმის გამხელა, რომ მათი ფლაკონები და ბოთლები პვქ-საგან არის დამზადებული: ისინი ფსკერზე უსვამენ სამკუთხედს, რომელშიც ჩაწერილია ციფრი „3“. გარდა ამისა, შეიძლება ეწეროს ასოები **PVC** (პოლივინილქლორიდი ინგლისურად). ყველა პლასტმასის ბოთლი როდია დამზადებული პვქ-საგან, მაგრამ მყიდველს შეუძლია დამოუკიდებლად გაარჩიოს ასეთი ჭურჭელი სხვა უვნებელი ჭურჭლისაგან: პოლივინილქლორიდის ბოთლს გადაჰკრავს მოცისფრო ელფერი, მოღუნვისას ან ხელის დაჭერისას წარმოიშობა თეთრი ზოლები, ფსკერზე კი ნაჭდევი ეტყობა.

და კიდევ ერთი არსებითი საკითხი: დაწვისას პვქ გამოჰყოფს უამრავ დიოქსინს: კოცონში პვქ-ს ოციოდე ბოთლი რომ შეჰყაროთ, ჰაერში გამოიყოფა 50 მილიგრამი დიოქსინი, ეს საკმარისია იმისთვის, რომ 50 ათას ლაბორატორიულ მღრღნელს კიბო შეეყაროს...

ნეონაცისტები ეკლესიებს მოსდგნენ

გაზეთი „ექსპრესი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ნეონაცისტურ დაჯგუფებათა გააქტიურებას გერმანიაში. „ექსპრესი“ იუწყება, რომ კვირას ღამით ნეონაცისტებმა დაწვეს კათოლიკური ეკლესია ქალაქ ლუბეკში. გაზეთის ინფორმაციით, ნაცისტებმა ვანდალიზმის ეს აქტი ჩაიდინეს ეკლესიის წინამძღვრის ჯინზე, ვინაიდან მან ტაძარში შეაფარებინა თავი გერმანელთა ოჯახს, რაღაცით რომ გაანაწყენა ნაცისტთა აგრესიული დაჯგუფება. „ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ ამგვარი ინციდენტები გერმანიაში ბოლო დროს სულ უფრო ხშირდება და ახლა ბევრი თვალსაჩინო საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე მოითხოვს ყველა რადიკალური პარტიისა და გაერთიანების სრულ აკრძალვას. მაგრამ, გაზეთის აზრით, აკრძალვებს არასდროს მოჰყოლია შედეგად უწესრიგობის შეწყვეტა და თვით დაჯგუფებათა ლიკვიდაცია იქამდე, სანამ მთავრობა არ მოიმოქმედებდა მკაცრ ღონისძიებებს მათი ორგანიზატორების წინააღმდეგ.

სპორტი

ჩვენი ჯანმრთელობა

მოსკოვშიც იასპარეზებენ

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი ინიციატივით წლეულს მეოთხედ ჩატარდა საქართველოს მშრომელთა სპორტული თამაშები, რომელიც მიზნად ისახავდა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ტურიზმის ფართოდ დანერგვას, მოსახლეობის გაჯანსაღებისათვის ზრუნვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ფიზიკური აღზრდის მოყვარულთა კლუბებსა და ჯგუფებში მშრომელთა მასობრივად ჩაბმას.

ფინალურ ასპარეზობას წინ უძღოდა რეგიონული შეჯიბრებები. იმის მიუხედავად, რომ ყველა რაიონს დროულად გაეგზავნა დებულებები, რეგიონულ პაექრობებში, მონაწილეობა არ მიიღეს მესტიის, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის, ყაზბეგის, თიანეთის, სიღნაღის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ბაღდათის, ჭიათურის, წყალტუბოს, ბოლნისისა და მარნეულის წარმომადგენლებმა, თუმცა რეგიონებში ჩასვლას არცთუ დიდი თანხა ესაჭიროებოდა – სულ რაღაც 200-300 ლარი.

რაც შეეხება თამაშების ფინალურ ეტაპს, იგი თბილისში გაიმართა 16 გუნდის მონაწილეობით (უსახსრობის გამო დედაქალაქში ჩამოსვლა ვერ შეძლეს ცაგერისა და ახალციხის გუნდებმა და აჭარის ნაკრებმა). ხუთდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ ყველას აჯობა ვაკის რაიონის გუნდმა ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, დიდუბელებმა იყოჩაღეს შაშში, სიმძიმეების აწევასა და მძლეოსნობაში. თითო პირველი ადგილი მოიპოვეს საბურთალოელებმა (ბაგირის გადაძალვა) და გარდაბნელებმა (მინი ფეხბურთი). სახეობების მიხედვით პრიზიორთა შორის მოხვდნენ საგარეჯოს რაიონის, სამაჩაბლოს, რკინიგზის ტრანსპორტისა და მშენებლობის, ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის დარგობრივი პროფკავშირების კოლექტივები.

საერთო გუნდური ადგილები კი ასე განაწილდა: 1. დიდუბის რაიონი, 2. საბურთალოს რაიონი, 3. რკინიგზის ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი.

ფინალური ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები 22 სპორტსმენის შემადგენლობით, რომელიც 24-28 ივნისს მოსკოვში ანალოგიურ საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზებს.

იროდი ბეჟაშვილი,
სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსი.

კარლ ლუისის გამოსათხოვარი ტურნე

ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რვაგზის მსოფლიო ჩემპიონი, ლეგენდარული მძლეოსანი კარლ ლუისი (აშშ) 1 ივლისს 36 წლისა ხდება და აპირებს კიდეც გამოეთხოვოს დიდ სპორტს.

ამასთან დაკავშირებით აგვისტოში კარლ ლუისი ევროპაში გამოსათხოვარ ტურნეს მართავს. იგი მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებებში, რომლებიც ბრიუსელში, ლინცში, სევილიასა და ციურიხში გაიმართება, გამოსვლებს კი ბერლინში დაასრულებს, იმ ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც 1936 წელს ტრიუმფულად გამოვიდა მისი თანამემამულე ჯესი ოუენსი.



წინასწარი ცნობით, კარლ ლუისი აპირებს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ 100 მეტრზე რბენაში. ამასთან ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება მოეწყოს მისი გამოსვლა „ოცნების გუნდში“ – ესტაფეტაში 4X100, სადაც ლუისის პარტნიორები იქნებიან სახელგანთქმული სპორტსმენები დონოვან ბეილი (კანადა), ფრენკ ფრედერიკსი (ნამიბია) და ლინფორდ კრისტი (ინგლისი). კარლ ლუისს, ყველა დროის ამ ყველაზე ტიტულოვან მძლეოსანს, წინადადება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ესტაფეტის ბოლო ეტაპზე.

დუელი გრძელდება

ნამიბიელმა მორბენალმა ფრენკ ფრედერიკსმა, რომლის წარმატებები საყოველთაო ინტერესს იწვევს, „ხელთათმანი ესროლა“ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ მაიკლ ჯონსონს, როცა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის „გრან პრის“ სერიით მოწყობილ შეჯიბრებაში იაპონიის ქალაქ ოსაკაში 200 მეტრი 10,90 წამში გაირბინა.

მაკა მელიავა.

გუშინ

ზესტაფონში გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XVII ტურის გამოტოვებული შეხვედრა „მარგვეთი“ – „დინამო“ (თბილისი).

გაიმარჯვეს სტუმრებმა – 6:0.

ავსტრალია: ციხე ასწორებს თუ აბოროტებს?

სასამართლომ 12 წლის ავსტრალიელ ბიჭუნას ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯა იმის გამო, რომ მან 5 დოლარი მოიპარა, იუწყება როიტერის სააგენტო. საქმე ის არის, რომ აქამდე მან ჩაიდინა კიდევ ორი დანაშაული: მონაწილეობა მიიღო სამი ველოსიპედისა და ერთი ნავის ქურდობაში. ავსტრალიის კანონმდებლობის თანახმად, კაცმა, რომელიც სამ დანაშაულს ჩაიდენს, აუცილებლად უნდა მოიხადოს მინიმუმ 12 თვის პატიმრობა. ბევრი ავსტრალიელი კანონმდებლის აზრით, ახალგაზრდობის წინააღმდეგ სამი დანაშაულის კანონის გამოყენება ნეგატიურ გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებაზე, რომელსაც თავს ატყდება მთელი გაბოროტება და ბოლმა, პატიმრობიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა დამნაშავეებს რომ დაუგროვდათ.

მი-5: ჯეიმს ბონდიდან სექსუალურ უმცირესობებამდე

ბრიტანეთის კონტრდაზვერვამ მი-5 გააუქმა აკრძალვა სამუშაოდ სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიღებაზე, იუწყება დპა სააგენტო. აკრძალვა მოქმედებდა იმის გამო, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ მამათმავლები და დედათმავლები თავიანთი სპეციფიკური ცხოვრების წესის გამო, შეიძლება გახდნენ შანტაჟის ობიექტი და გადაიბირონ სხვა სახელმწიფოების სპეცსამსახურებმა. ამჟამად კი, მი-5-ის ხელმძღვანელთა აზრით, როდესაც სექსუალურ უმცირესობებში ყოფნა აღარ ითვლება სახელგამტეხ გარემოებად, ამგვარი შეზღუდვის საჭიროება თავისთავად მოიხსნა. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ აკრძალვის გაუქმებიდან სულ ერთ კვირაში მი-5-ს, ვაკანსიის მიცემის მოთხოვნით, მიმართა 20 ათასამდე ჰომოსექსუალისტმა, რაც ათჯერ მეტია, ვიდრე ბრიტანეთის დაზვერვის მთელი რიცხობრივი შემადგენლობა.



● ცხარე კამათი გაიმართა თურქეთის პარლამენტში. ისლამისტური კეთილდღეობის პარტიის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის განხილვისას მეჯლისში დაკა-დაკა ატყდა. მხოლოდ მთავარი ოპოზიციური პარტიის — მამულის პარტიის ლიდერის მესუთ ილმაზის ჩარევის შედეგად მოხერხდა აბობოქრებულ პარლამენტართა დაშოშმინება.

მაღალი განვითარების... გადასახადი გერმანიას დაბლა სცემს

გაზეთი „ზიუდკურიერი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც გერმანიის ეკონომიკის მდგომარეობას ეძღვნება. გაზეთის ინფორმაციით, მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგები ნათლად მოწმობს, რომ გერმანიის ეკონომიკა დაღმავლობის გზაზეა. სხვადასხვა მაჩვენებლების კლების ტემპი ცხადად ადასტურებს, რომ, თუ უახლოეს ხანს მთავრობამ რადიკალური ზომები არ მიიღო, მაშინ გერმანია თავისი განვითარების დონით სულ მალე აღმოჩნდება განვითარებადი ქვეყნების რიცხვში. გაზეთს, აგრეთვე მოჰყავს მკვლევართა აზრი, რომლის თანახმად, ეკონომიკის ასეთი მდგომარეობა გამოიწვიეს უზომო გადასახადმა, მეწარმეებს რომ დააკისრეს, და ქვეყნის ხელმძღვანელობის უნიათო მოქმედებამ.

ორი კორეა ზავდება

ჩრდილოეთ კორეისა და სამხრეთ კორეის დელეგაციებმა ორ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, პეკინში გამართულ მოლაპარაკებაზე შეძლეს მიეღწიათ მორიგებისათვის ჩრდილოეთ კორეის დამშეული მოსახლეობისადმი ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. დპა სააგენტოს ინფორმაციით, მოლაპარაკებაში აშკარად მიღწეული წარმატების მიუხედავად, ორი ქვეყნის მთავრობათა ურთიერთობაში არსებულმა დაძაბულობამ მაინც იჩინა თავი, და ჩრდილოეთ კორეას გაუწევენ დახმარებას არა სრული მოცულობით, არამედ მხოლოდ იმის 50 პროცენტის ოდენობით, რაც აუცილებელია დამშეული მოსახლეობის მინიმალური გამოკვებისათვის. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ ქვეყნების უმრავლესობამ მიღწეული მორიგება შეაფასა ჩრდილოეთ კორეისა და სამხრეთ კორეის ურთიერთობის მნიშვნელოვან მიღწევად.

ბეკი ბავშვებს გულმოწყალებას ასწავლის

ამერიკის საბავშვო სათამაშოების კომპანიამ გამოუშვა ახალი თოჯინა – ხეიბრის ეტლში მჯდომი დედოფალა. თოჯინა ბეკი, რომელიც სათამაშოს შემმუშავებელთა ჩანაფიქრით, განთქმული ბარბის მეგობარი უნდა გახდეს, ბავშვებს დაეხმარება დაძლიონ უხერხულობის გრძნობა, რომელიც ხეიბარ თანატოლებთან ურთიერთობისას ეუფლებათ ხოლმე.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისათვის

ბაქოში თავისი თითქმის ორთვიანი მუშაობა დაამთავრა გაეროს ნარკოტიკებისადმი კონტროლის პროგრამის მაღალი თანამდებობის მისიამ. მიიღეს სპეციალური კანონი იმ მიზნით, რომ აზერბაიჯანს დახმარება გაუწიონ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისიამ საკმაოდ დეტალურად შეისწავლა ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და შეფასება მისცა რესპუბლიკის ძალისმიერი სტრუქტურების შესაბამისი ქვეგანაყოფების საქმიანობას. მისი ყურადღების ცენტრში იყო ნარკომანების მკურნალობისა და რეაბილიტაციის პრობლემებიც. ბაქოში გაიმართა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-უორტეს“ მასალების მიხედვით
უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ფეხბურთი

ზაგალო ისევ ექსპერიმენტს მიმართავს

დასასრულს უახლოვდება ბრაზილიის შტატების – რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს ჩემპიონატები ფეხბურთში, რომლებიც სხვადასხვა სისტემით იმართება. არ წყდება კლუბების ხელმძღვანელთა უკმაყოფილება ჩემპიონატების ხელმძღვანელთა მიმართ. პირველ რიგში, ყველაზე მეტი კრიტიკა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიკარდო ტეიშეირას მისამართით არის გამოთქმული, რომელმაც ვერაფრით ვერ დაალაგა თავისი ქვეყნის პირველობა, ისე, როგორც თუნდაც 1995 წელს იყო. ბრაზილიის პრესა და ტელევიზიაც ლაფში სვრის ასეთი „ფილოსოფიური მეთოდით“ ჩემპიონატის ჩატარებას და მხარს უჭერს კლუბის ხელმძღვანელებს, რათა მომავალში მაინც უფრო გამარტივდეს მისი სისტემა, ვთქვათ, ისე, როგორც მეზობელ არგენტინაშია.

რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონატში მესამე ეტაპი მიმდინარეობს, რომელშიც მხოლოდ 6 კლუბი აგრძელებს ბრძოლას პირველი ადგილისათვის. იგი უფლებას იძლევა შტატის ჩემპიონატის ფინალში გარინჩას ყოფილ გუნდს, „ბოტაფოგოს“ შეხვდე, რომელმაც დაუმარცხებლად მოიგო პირველი და მეორე ეტაპები. იმის მიუხედავად, რომ „ბოტას“ დაჯავშნული აქვს ფინალის საგზური, იგი ვალის მოხდის მიზნით მაინც აგრძელებს თამაშს. მან ცასელითი მატჩი მოაწყო „ამერიკანოსთან“ და მინიმალური ანგარიშით – 1:0 გაიმარჯვა. მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა რიოს პოპულარული გუნდების „ფლუმინენსესა“ და „ფლამენგოს“ შეხვედრას. „მარაკანას“ სტადიონზე მოსული ტორსიდა იმედოვნებდა, რომ „მენგო“ უსათუოდ გაიმარჯვებდა, მაგრამ რომარიოს კლუბმა 0:2 წააგო და „ფლუ“, როგორც მას ბრაზილიაში შემოკლებით ეძახიან, განაგრძობს ექსეულის სათავეში ყოფნას.

კიდევ ერთმა ცნობილმა ბრაზილიურმა გუნდმა „ვასკო და გამამ“ 4:0 დაამარცხა აუტსაიდერი „ბანგუ“ და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა. ზემოთ მოგახსენებდით რიოს შტატის ჩემპიონატის გათამაშების აბსურდული დებულების შესახებ, რომელსაც კიდევ ერთი სასაცილო პუნქტი დაემატა. თუ ბრაზილიის შტატების ჩემპიონატში ერთადერთმა დაუმარცხებელმა კლუბმა „ბოტაფოგომ“ მესამე ეტაპის პირველობაც მოიპოვა, მაშინ იგი ავტომატურად ცხადდება შტატის ჩემპიონად და არავითარი ფინალური მატჩის გამართვა საჭირო აღარ იქნება.

სან-პაულუს შტატის ჩემპიონატში (ორ შესარჩევ ქვეჯგუფში) 16 კლუბი გამოდის, თითოეულში – 8. მათი მიზანია ქვეჯგუფში პირველ-მეორე ადგილების დაკავება, რათა მათ უძლიერესთა ოთხეულში თამაშის უფლება მიიღონ. პირველ შესარჩევ ქვეჯგუფში 2 საგზურის მოპოვებაზე პრეტენზიას აცხადებს 3 ცნობილი გუნდი. პირველ ადგილზე მყოფმა „პალმეირასმა“, რომელსაც განაღდებული აქვს ოთხეულში გამოსვლის უფლება, XXIII ტურში 5:0 მოუგო „მოგი მირიმს“. მეორე ფინალურ საგზურს ალბათ ბრაზილიის სპორტის მინისტრის პელეს ყოფილი კლუბი „სანტოსი“ მოიპოვებს, რადგან მას 46 ქულა აქვს და იგი ოდნავ ჩამორჩება ლიდერს. „სანტოსს“ მეორე საგზურს ედავება „პორტუგეზა“, რომელიც 3 ქულით ჩამორჩება მეტოქეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ბოლო ტურებში გადაწყდება.

ივნისის დასაწყისში რიოსა და სან-პაულუს შტატების ჩემპიონატებმა შესაძლოა ტაიმ-აუტი აიღოს, რადგან ამ ქვეყნის ნაკრები ევროპაში საგასტროლოდ მიემგზავრება. 2 ივნისს იგი საფრანგეთში დაგეგმილ ოთხთა ტურნირში ჩაებმება, სადაც საფრანგეთის, იტალიის, ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. გასაკვირია, ამ უძლიერეს ტურნირში, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები მსოფლიოს XVI ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციას უწოდებენ, თუ რატომ არ არის მიწვეული ევროპის ჩემპიონი გერმანიის ეროვნული ნაკრები. რადგან წერილში აქცენტი მთლიანად ბრაზილიურ ფეხბურთზეა გამახვილებული, იმასაც შეგატყობინებთ, რომ ევროპულ ტურნეში მომავალმა მარიო ზაგალომ კვლავ ექსპერიმენტებს მიმართა (ეს არა მარტო მისი, არამედ ყველა ნაკრების მწვრთნელის „აქილევსის ქუსლია“) და ბრაზილიის ნაკრებში არ მიიწვია ინგლისის პრემიერ-ლიგიდან გავარდნილი „მიდლსბროს“ ვარსკვლავი ჟუნინიო. „ამჯერად მე მინდა მის ნაცვლად ჯალმინია გამოვცადო“ – თქვა ზაგალომ. შეტევის ხაზში კვლავ ვერ ვხედებით ბრაზილიის ნაკრების კაპიტანს რომარიოს, რომელიც ბრწყინვალედ არის შეთამაშებული „ბარსელონას“ 20-მილიონიან შენაძენთან რონალდოსთან. როგორც ზაგალოს არჩევნიდან ვხედავთ, საფრანგეთის ახლანდელ ტურნირში მწვრთნელი ცენტრალურ თავდამსხმელს რონალდოს, მარჯვნიდან და მარცხნიდან ჯოვანისა და ჯალმინიას ამოუყენებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელს, მაგრამ ექსპერიმენტები მას ალბათ იმისათვის სჭირდება, რომ უძლიერესი ანსამბლი შექმნას „კოპა ამერიკას“ წინ, რომელიც წლევანდელ ზაფხულში მაღალმთიან ბოლივიაში ჩატარდება.

შალვა დარსაველიძე.

ზოგი რამ გაისის ჩემპიონატზე

1998 წელი სპორტის მოყვარულთათვის მსოფლიოს მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატის „ნიშნით“ დადგება. მასპინძელი ქვეყანა – საფრანგეთი გახურებულ სამზადისშია: ხუმრობა ხომ არ არის, უწინდელი 24-ის ნაცვლად 32 გუნდს უნდა უმასპინძლოს (პირველად ფეხბურთის ისტორიაში!).

აი, რა უამბო საფრანგეთის პრესის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალენ ლებლენმა ჟურნალისტებს:

– 32 გუნდის მასპინძლობა ორგანიზატორებისათვის არც ისე იოლი საქმეა, თანაც ეს პირველი ასეთი ცდა იქნება. ფინალისტები 8 ჯგუფად დაიყოფიან, თითოეული ნაკრები სამ შესარჩევ მატჩს გამართავს და ყოველ მათგანს – სხვადასხვა ქალაქში.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს მიშელ პლატინი უდგას სათავეში. ასეთი ფორმულა მისი მოფიქრებულია. დაე, გულშემატკივრებმა ნახონ თამაშები სხვადასხვა გუნდის მონაწილეობით, ერთმანეთს შეუდარონო ევროპული, აზიური და ლათინოამერიკული ფეხბურთი. კიდევ რამდენი რამ მოიგონა მიშელმა! მაგალითად, 10 ქალაქიდან ერთ-ერთში, მონპელიეში, მან ფეხბურთელებსა და ქომაგებს ასეთი „კერძიც“ შესთავაზა – ცეკვის ფესტივალი... საერთოდ, ჩვენი პირველობა მიშელ პლატინის სულისკვეთებით ჩაივლის. ახლა მისი ერთწლიანი დრო სულ წუთობით არის გათვლილი. იცით, რამდენი განაცხადი შემოვიდა პლატინისთან ინტერვიუზე მარტო წლევანდელი წლისათვის? დღეში 50 საუბრის „გაცემა“ დასჭირდებოდა, რაც არასდროს არავის მოსწრებია. რას იზამ, ეს არის პლატინის ფენომენი, ფეხბურთით მობილი. მიშელი ფეხბურთით ცოცხლობს, იგი ჩემპიონატის ყველა ნიუანსში ცდილობს ჩაწვდომას.

სენ-დენიში ახლა მთავარი სტადიონი შენდება, სადაც პირველი და ბოლო მატჩები შედგება. გაისად, 10 ივნისს უნდა გაიხსნას ჩემპიონატი „სტატ დე ფრანსი“ კი უკვე მიმდინარე წლის მიწურულში იქნება მზად. სავსებით თანამედროვე ნაგებობა უნდა გამოვიდეს. დარწმუნებით, მაყურებელი დიდად კმაყოფილი დარჩება. ყველა, 80 ათასი ადგილიდან დიდებული სანახაობა გადაიშლება.

სენ-დენიში „სტად დე ფრანსს“ გაისად, 28 იანვარს, საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები მოსინჯავენ ამხანაგური შეხვედრით. იქვე მოეწყობა „ხუთი ერის ტურნირი“ რაგბიში.

მართალია, ჩვენი ათი სპორტული ასპარეზის ტევადობა ჩამორჩება იმ ამერიკული სტადიონებისას, რომლებმაც წინა ჩემპიონატი მიიღეს, სამაგიეროდ, საფრანგეთში გაცილებით მეტი ტურისტი ჩამოვა. ორნახევარი მილიონი ბილეთიდან მილიონამდე მიეყიდება სტუმრებს. ბილეთების ფასი სხვადასხვაა – ქვეჯგუფებში წინასწარ მატჩებზე 145 ფრანკიდან დაწყებული, ფინალში საუკეთესო ადგილებზე 2 950 ფრანკით დამთავრებული. ძვირია, მაგრამ აბა, თუკი კარგია, ახლა იაფი რა არის?..

ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე ინგლისელებმა ვიზებთან დაკავშირებით ისეთი მკაცრი ბარიერები აღმართეს, რომ მრავალმა გულშემატკივარმა ბიუროკრატიული ზღუდეები ვერ გადალახა. ჩვენ მკაცრ შეზღუდვებს არ ვაპირებთ, თუმცა გარკვეული ფორმალობები დარჩება. მათ დასაძლევად წერილებს ვაგზავნით ყველა ქვეყანაში, საიდანაც სტუმრებს ველით. ასეთი წერილები საფრანგეთის საელჩოებში მივა.

მოამზადა
თამაზ ეგანოიძე.

ჩოგბურთი

სენსაციები „როლან გაროსზე“

სენსაციურად დაიწყო „როლან გაროსის“ – საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველივე ტური. ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა (რეიტინგი 2819), რომელიც ამჟამად მსოფლიოს მეოთხე ჩოგბურთელად ითვლება და ასეთივე ნომრით არის განთესილი ტურნირზე, წააგო 39-ე ჩოგბურთელთან, შვედ მაგნუს გუსტაფსონთან (რეიტინგი 1067). რამდენიმე წლის წინათ ჯიმ კურიე (აშშ, ახლანდელი რეიტინგი 1438) მსოფლიოში № 1 ჩოგბურთელად ითვლებოდა, ახლა, მართალია, 22-ე ადგილამდე დაეშვა, მაგრამ, ექსპერტები მას მაინც შვედ მაგნუს ლარსონზე (1067, მე-40 ადგილი) მაღლა აყენებდნენ. ამის მიუხედავად, მათი ორთაბრძოლა შვედის გამარჯვებით დამთავრდა. სხვა რაიმე მოულოდნელობა პირველ ტურში არ მომხდარა: ფავორიტები, მათ შორის ამერიკელი პიტ სამპრასი და რუსი ევგენი კაფელნიკოვი, შეუპოვარი ბრძოლით მომდევნო წრეში გავიდნენ.

ქალთა ტურნირში ჯერჯერობით მხოლოდ განთესილი მონაწილეები იმარჯვებენ. მოიგეს მარტინა ჰინგისმა, შტეფი გრაფმა, მონიკა სელეშმა.

გზებსა და გზაჯვარედინებზე

ვითვალისწინებ რა ყველასათვის ძვირფას დროის ფაქტორს, ვეცდები მოკლედ და მკაფიოდ ჩამოვაყალიბო სათქმელი. საზოგადოების გასაგონად სალაპარაკო კი ნამდვილად არის. რასაკვირველია, იგი სატრანსპორტო პრობლემებს მოიცავს, კონკრეტულად მძღოლთა უმრავლესობისათვის საინტერესო კითხვებს მინდა გავცე პასუხი.

ყველამ კარგად იცის, ნეგატიური შედეგები განაპირობა ამ რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში დასადგურებულმა ქაოსმა და განუკითხაობამ. ცხადია, ძარცვა და განადგურება ქვეყნის სამგზავრო-სატვირთო ავტოპარკმაც განიცადა, ხოლო რაც ნგრევას გადაურჩა, იმ ტრანსპორტმა კერძო სტრუქტურებში გადაინაცვლა. სამგზავრო გადაზიდვებზე დიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სწორედ ამ კერძო სექტორმა ითავა. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ რადგან აქ საქმე ადამიანების გადაყვანას ეხება, ბუნებრივია, მისთვის სამგზავრო გადაზიდვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა აუცილებელი წესების დაცვაც სავალდებულო გახდა.

სავალდებულო კი გახდა, მაგრამ, როგორც ჩვენი ყოფა და ყოველდღიურობა გვიდასტურებს, ეს მცნება საქართველოში მაინცდამაინც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ამ გარემოებაში ნათლად დარწმუნდება დაინტერესებული კაცი აღნიშნული ტრანსპორტის ვიზუალური დათვალიერებითაც. მათგან ზოგიერთის ტექნიკური მდგომარეობა ისეთია, რომ გაჭირვებას რა ვუთხარით, თორემ ამ ტრანსპორტით არ უნდა იმგზავროს საკუთარი თავისა და ოჯახის მოყვარულმა ადამიანმა...

ადრე ყოველდღიურად, გეგმაზომიერად ახლდებოდა რესპუბლიკის ავტოპარკი, სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტი ცენტრალიზებულად უზრუნველყოფილი იყო მარაგნაწილებით, ყოველდღიურად ხაზზე გასვლის წინ და გარაჟში დაბრუნებისას მოწმდებოდა ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობა, მძღოლის ჯანმრთელობა, მაგრამ სადღეისოდ ეს აუცილებელი კონტროლი აღარ ხორციელდება. სწორედ ამის გამო, არცთუ იშვიათად, სავალალო ფაქტების მოწმენი ვხდებით.

უკანასკნელ ხანს, სატვირთო და სამგზავრო ავტობუსების ავარიების შედეგად საქართველოში 100-მდე მოქალაქე დაიღუპა. ავარიები, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა პარალელურად, გამოწვეული იყო ავტობუსების ცუდი ტექნიკური მდგომარეობის და მძღოლების არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გამო. საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ამ რამდენიმე ხნის წინათ რაჭაში მომხდარი ტრაგედია, როცა სამგზავრო ავტობუსი 65 წლის მძღოლმა მაღალმთიანი რაიონის პირობებში ვეღარ შეძლო ავტობუსის მართვა. 17 მარტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის გაუზის ოლქში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, როცა მძღოლის არაკვალიფიციურობის გამო ბაქო-ბოლნისის მარშრუტის ავტობუსი 15 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადავარდა...

მხოლოდ ამ ორ შემთხვევას 52 ადამიანის, მათ შორის ბავშვების სიცოცხლე ემსხვერპლა... დასახიჩრდა 31 კაცი.

რასაკვირველია, ძალზე სასურველია, ჩვენში თითოეული ავტომანქანის საჭეს ნაცადი, მაღალპროფესიონალი, აბსოლუტურად ჯანმრთელი მძღოლი მართავდეს, მაგრამ ეს თვისებები, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ათასგზის უფრო საჭირო და აუცილებელია სამგზავრო ავტობუსის მძღოლისათვის. ვგონებ ითქვა კიდეც და მეც სავსებით ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება მძღოლთა ასაკობრივი ცენზის დადგენაც. საგზაო პოლიცია კარგა ხანია აყენებს ამ საკითხს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე ვერ გადაწყდა.

მამ ასე, ვგონებ შევთანხმდით, რომ აუცილებელია სამგზავრო ტრანსპორტზე განხორციელდეს ელემენტარული კონტროლი მაინც, მაგრამ ვინ უნდა ითავოს ეს სამური საქმე? სახელმწიფოს უმეტესწილად ეს ტრანსპორტი აღარ ეკუთვნის, საგზაო პოლიციაც, ცხადია, ფიზიკურად ვერ შეძლებს ამ ყოველდღიური სამუშაოს ჩატარებას... მაშინ სადღეისო პირობებში ერთადერთ ამგვარ რეალურ შესაძლებელ ობიექტად გვრჩება ავტოსადგური. სწორედ ავტოსადგურში, მის მესვეურებთან ერთად ტრანსპორტის დეპარტამენტიც და საგზაო პოლიციაც ყველაფერს უნდა აკეთებდნენ, რათა ხაზზე არ გავიდეს უწესრიგო ტრანსპორტი, შემოწმდეს მძღოლის ფიზიკური მდგომარეობა. აუცილებელია, რომ ავტოსადგურში მექანიკოსმა ჩაატაროს ავტობუსის ვიზუალური დათვალიერება მაინც, შეამოწმოს ტრანსპორტის გარეგნული სახე, საბურავების ცვეთა, საქარე მინების, მგზავრთა დასაჯდომების, მამუქების, მუხრუჭებისა და სხვათა მდგომარეობა, ექიმმა კი შეამოწმოს მძღოლის ჯანმრთელობა, მისი „შეზარხოშებულობა“, წნევა და ა. შ. მაგრამ აქ წარმოუდგენელ სიძნელეებს ვაწყდებით, ალბათ იმიტომ, რომ აქაც მოქმედებს ჩვენში ესოდენ გავრცელებული, მაგრამ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დღემდე უცნობი და გაუგებარი ბიზნესის პრინციპი — „არაფერი დახარჯო და მიიღო უმაღლესი მოგება“, ან „შეზღუდული კი არა, საერთოდ არ დაეკისროს არავითარი პასუხისმგებლობა და მოგება მაქსიმალური გქონდეს!“ ე. ი. უნდა ამაღლდეს მძღოლის თვითშეგნება და პასუხისმგებლობა, თორემ ზემოთ ჩემს მიერ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევაც წესრიგს ვერ დაამყარებს.

ჩვენი მხრივ კი, რაც შესაძლებელია, იმას უეჭველად მივაღწევთ: საერთოდ მგზავრების გადაყვანით დასაქმებულმა ტრანსპორტმა ყოველთვიურად უნდა გაიაროს ტექდათვალიერება ადგილობრივი საგზაო პოლიციის დანაყოფში. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება სატრანსპორტო ლიცენზიების ყოველთვიური განახლებაც.

აქვე მინდა ერთი ფრიად საგულისხმო გარემოებაც აღვნიშნო: სალიცენზიო კომისიებში (ეს ის კომისიებია, რომლებიც ტრანსპორტის მფლობელს უფლებას აძლევენ, ეს ტრანსპორტი სამგზავრო მარშრუტში ჩართოს) ზოგან არ ფიგურირებს საგზაო პოლიციის სამსახური! საოცარია პირდაპირ, რადგან საგზაო პოლიციას „რაღაც“ შეხება აქვს ტრანსპორტსა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და ვფიქრობ, „იმსახურებს“ კიდეც ამ კომისიაში მონაწილეობის უფლებას.

რადგან სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობასაც შევეხე, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, სავალალოდ, ქვეყნის ავტოპარკი საკმაოდ მოძველდა და საზღვარგარეთიდანაც ძველი ტრანსპორტის ნაკადი მოედინება. ცხადია, ყოველივე ეს მრავალ პრობლემას ქმნის და დრო, რომელიც არ იცდის, მარადიულად მიედინება, ამ პრობლემების თავისდროულ გადაწყვეტას მოითხოვს. მეტად დასანანია, რომ ბევრს არ აქვს გასიგრძეგანებული ეს ჭეშმარიტება.

ამ ფონზე, უწინარესად, საქართველოში სატრანსპორტო საშუალებათა წლიური სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების მიმდინარეობა მინდა გავაცნო მკითხველს. ავტომფლობელებმა კარგად იციან, რომ ეს ღონისძიება მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დაიწყო და იგი 1 ნოემბრამდე გასტანს. აგერ უკვე 5 თვე გავიდა, შედეგები კი ძალზე გვაფიქრებს: მართალია, ზოგიერთმა ორგანიზაციამ ეს კომპანია დროულად და მაღალორგანიზებულად დაიწყო, მაგრამ კერძო სექტორმა, რომ იტყვიან, მათ ვერ აუბა მხარი. დღემდე ამ კატეგორიის ტრანსპორტის მხოლოდ 20 პროცენტია წარდგენილი ტექნიკურ დათვალიერებაზე. ეს მაჩვენებელი ძალზე დაბალია...

არ მინდა კვლავ ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების მნიშვნელობაზე ვისაუბრო, რადგან ესეც ძალზე კარგად ესმის იმ ასიათასობით მძღოლს, რომელიც ყოველდღიურად გამოდის ქვეყნის ქუჩებსა და ავტომაგისტრალებზე. მინდა უბრალოდ შევახსენო მათ, რომ დროულად წარადგინონ ტრანსპორტი დიაგნოსტიკურ სადგურებში ტექნიკურ დათვალიერებაზე, დღეს გასაკეთებელ საქმეს ხვალისთვის ნუ გადადებენ. მით უმეტეს, რომ იგი აუცილებელია. აუცილებელია ისევე, როგორც სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლაც, რომელიც რამდენიმე ხანია მიმდინარეობს, დრო კი ძალზე ცოტა რჩება დადგენილ ვადამდე — 1 ივლისამდე, მაგრამ ტემპი მაინც ძალზე ნელია. ამიტომაც არის, რომ ბევრ ტრანსპორტს კვლავ ყოფილი საბჭოური ნომრები „ამშვენებს“. იმ სახელმწიფოს ნომრების, რომელიც ბუნებაში აღარ არსებობს!

როგორც ცნობილია, დაიწყო სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური პასპორტებისა და მძღოლის მოწმობათა საყოველთაო შეცვლა, რომელიც უპირველესად ქვეყნის ტრანსპორტისა და მძღოლთა კადრების ზუსტი აღრიცხვის, მის შესახებ ინფორმაციის კომპიუტერულ ქსელში ჩართვის, ტრანსპორტის გატაცებისაგან დაცვისა და სხვა გადაუდებელმა ოპერატიულმა აუცილებლობამ გამოიწვია. ცხადია, ეს პროცედურა გარკვეულ თანხებს მოითხოვს, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობის გზაზე შემდგარ თანამედროვე ცივილურ ქვეყანაში ესეც აუცილებელი პროცესია და იგი დღესვე უნდა განხორციელდეს.

უნდა ითქვას, რომ ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ამ ღონისძიებებში გაცილებით დიდ თანხებს იხდიან ავტომფლობელები... „კი მაგრამ, ამერიკაში და იაპონიაში სხვა ხელფასები აქვთ მოქალაქეებსო“, — ვიცი, შემაწყვეტინებს ვინმე და მართალიც იქნება...

ძალზე კარგად ვიცი, მეგობრებო, რა საერთო გასაჭირია დღეს საქართველოში, მაგრამ რა მოვახერხოთ, რა ვიღონოთ, ავტომანქანა მდიდარ ამერიკაშიც და ჯერჯერობით ღარიბ საქართველოშიც მომეტებული საფრთხის საგანს წარმოადგენს და თუკი იგი გზებსა და ქუჩებში მოძრაობს, აბინძურებს და ანაგვიანებს ჰაერსა და გარემოს, ცვეთს გზას, წარმოშობს ხმაურს, მფლობელს ბევრი ვალდებულებაც ეკისრება...

საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში ხშირად შემოდის მოქალაქეების, განსაკუთრებით პენსიონერთა წერილები აღნიშნული გადასახადებისაგან მათი გათავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ, სავალალოდ, ხშირ შემთხვევაში საგზაო პოლიციას აქ რაიმე რადიკალური შეღავათის დაშვება არ შეუძლია უწინარესად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აღნიშნული გადასახადები მისი დაწესებული არ არის და, ბუნებრივია, არც ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება აქვს.

საქმის სირთულე ის არის, რომ კომპიუტერული სისტემისათვის მისადაგებული, ცვეთაგამძლე, თანამედროვე მოთხოვნების დონეზე სათანადო ხარისხის, გაყალბებისაგან საიმედოდ დაცული დოკუმენტაციის დამზადებას დღეს სახელმწიფო ორგანიზაცია სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს და ამის გაკეთება ხშირად ვერ ხერხდება ჩვენს ქვეყანაში, უცხოეთისა და სხვა კერძო ფირმები კი, ცნობილია, შეღავათებს პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ.

მიუხედავად ამისა, ამ მიმართებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ძალისხმევით თანმიმდევრულად ბევრი რამ გაკეთდა: მინისტრის ბრძანებით მძღოლები გათავისუფლდნენ საგზაო პოლიციელის მომსახურეობის გადასახადებისაგან (მართვის მოწმობის მისაღებად განსაზღვრულია სამი და ტექდათვალიერების ჩატარებისას 0,5 ლარი). 1 ივლისამდე გაგრძელდა სანომრე ნიშნების შეცვლის ვადა და, რაც მთავარია, თითქმის განახევრდა მისი ღირებულება. ამასთან, მართვის მოწმობების შეცვლის, დაკარგული მოწმობების აღდგენის თუ სატრანსპორტო საშუალებათა ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს არ იქნება საჭირო ჯანმრთელობის შესახებ ცნობის (ე. წ. ფსიქოს) წარდგენა. მას მოსთხოვენ მხოლოდ იმ პირებს, ვინც პირველად იღებს ავტომანქანის მართვის მოწმობას და ვისაც აძლევენ „დ“ და „ე“ კატეგორიებს. მართვის მოწმობის შეცვლა მოქალაქეს 18 ლარი და 95 თეთრი უჯდება (ანუ ნაკლები, ვიდრე მანამდე იყო), ავტომანქანის ტექნიკური პასპორტის — 17 ლარი და 25 თეთრი.

სხვათა შორის, მოქალაქეთათვის ფრიად ხელსაყრელი სიახლეები დაწესდა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის პროცედურებშიც. ადრე, უახლოეს წარსულში, ავტომანქანებით ვაჭრობას ახორციელებდა კერძო ფირმის საკომისიო მაღაზიები, სადაც გასაყიდად წარდგენილი ავტომანქანის ღირებულება მხოლოდ საბაზრო ფასებით განისაზღვრებოდა. გარდა იმისა, რომ მოქალაქეებს დიდძალი დრო და თანხა ეხარჯებოდათ სარეგისტრაციო სამსახურში — საკომისიო მაღაზიაში — კვლავ სარეგისტრაციო სამსახურში განუწყვეტელი მიმოსვლით, საკომისიო მაღაზიის მიერ ამოღებული თანხის მხოლოდ მიზერული, უმნიშვნელო ნაწილი შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

დღეისათვის გამოირიცხა ავტომანქანების ღირებულების საბაზრო ფასებით განსაზღვრა, ზუსტად დაფიქსირდა რეგისტრაციისათვის თანხა სატრანსპორტო საშუალებათა მარკების, ცხენის ძალებისა და ხნოვანების მიხედვით, რაც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ყველა საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო სამსახურში და რეგისტრაცია ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხოლო მოქალაქეთა მიერ გადახდილი თანხა მთლიანად ბიუჯეტში შედის. აღსანიშნავი ისიც არის, რომ თუ ახლახანს საკომისიო მაღაზია თვითნებურად აფასებდა ავტომანქანას და მისი ღირებულების 7 პროცენტს მფლობელს ახდევინებდა, ამჟამად არსებული ტარიფები ამ თანხაზე 10-15 პროცენტით ნაკლებია.

მიუხედავად ამისა, დღეს მოქალაქეს უჭირს ნებისმიერი გადასახადის გადახდა, მაგრამ როგორმე უნდა შევძლოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ წესრიგში მოვიყვანოთ ჩვენი ტრანსპორტი და სარეგისტრაციო დოკუმენტებიც. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ავტომფლობელს ამგვარი გასაჭირი აღარ დაადგება. ამავდროულად, თუ ვინმე უსახსრობის გამო ვერ შესძლებს კუთვნილი ავტომანქანის ტექდათვალიერებაზე წარდგენას, მას შეუძლია ამის შესახებ განცხადებით მიმართოს ადგილზე საგზაო პოლიციას. მასთან მივა თანამშრომელი, ადგილზევე დაათვალიერებს და აღრიცხავს ტრანსპორტს, გათავისუფლდება საგზაო ფონდისა და ტექდათვალიერებისთვის საჭირო გადასახადებისაგან, შემდეგ დაელოდება უკეთეს დროს... მანამდე, რასაკვირველია, მფლობელს არა აქვს ავტომანქანის ექსპლუატაციის უფლება.

მსურს ირწმუნოს მკითხველმა, რომ დოკუმენტაციის შეცვლასთან დაკავშირებით ყოველივე ზემოთ აღნიშნული საგზაო პოლიციის ახირება არ გახლავთ. პირიქით, ძალზე დავაგვიანეთ, ეს გაცილებით ადრე უნდა გაკეთებულიყო...

გიორგი ცინცაძე,
საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი.

სატრანსპორტო პოლიციის არ ახირება

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

წლეულს ხანძარმა 43 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 21 მაისს მთავრობის სხდომაზე წარმოადგინა კანონპროექტი „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“. ამ საკითხთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკს ჯუმბერ სურმავას.

— აღნიშნული კანონპროექტი შეთანხმებულია საქართველოს 21 სამინისტროსთან, — თქვა სამსახურის უფროსმა, — გათვალისწინებულია მათ მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები. კანონპროექტი შეეხება და აწესებს საქართველოს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, აწესრიგებს ამ სფეროში ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საწარმოებს, მოქალაქეებს და სხვა იურიდიულ პირებს შორის. ქვეყნის სახანძრო უსაფრთხოების პრობლემა დღეისათვის მოითხოვს მეტად სერიოზულ და საფუძვლიან მესწავლას.

მარტო შარშან საქართველოში აღრიცხული იყო 3682 ხანძრის შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 82 ადამიანი. ხოლო 100 მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება. მიმდინარე წლის ოთხ თვეში რეგისტრირებულია 1761 ხანძარი. ხანძრის შედეგად დაიღუპა 43, დაშავდა 51 მოქალაქე.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ხანძრებთან ბრძოლის ეფექტიანობის გაძლიერებისათვის გადასაწყვეტია მრავალი პრობლემა. რადგან სახანძრო უსაფრთხოების სფეროში შექმნილი ვითარება განპირობებულია ნორმატიულ-სამართლებრივი, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, სოციალური პრობლემებით, რომლებიც წლების მანძილზე გროვდებოდა.

დღეისათვის მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანას აქვს თავისი კანონმდებლობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში. ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულ კანონპროექტში საკანონმდებლო დონეზე მოხდა სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებათა და მოვალეობების გამიჯვნა. დაკონკრეტდა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ამოცანები. დადგინდა ხანძრების სახელმწიფო აღრიცხვის და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა ფინანსირების წესი, აგრეთვე საწარმოო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა ობიექტის სახანძრო უსაფრთხოებაზე. განისაზღვრა ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში სამსახურის გავლის წესი და პირობები, თანამშრომლობის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ზომები და სხვა საკითხები.

კანონპროექტის მიღება, — თქვა ბატონმა ჯუმბერ სურმავამ, — საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოების სამართლებრივი სისტემის შექმნა.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

ამინდი 29 მაისს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს ქარი 10-15 მეტრი სიჩქარით აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 12-17, დღისით 25-30.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით, შესაძლებელია სეტყვა, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 10-15, დღისით 23-28.

თბილისში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი, ტემპერატურა — ღამით 13-15, დღისით 26-28 გრადუსი სითბო.

დღეს, 29 მაისს მაგნიტური დღეა, კრიტიკული საათები — 19.00-20.00.

ხსოვნა

მიხეილ ნიკოლაიშვილი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი მიხეილ ზილოვანის ძე ნიკოლაიშვილი.

მან დიდი შრომითი გზა განვლო საქართველოს ენერგეტიკაში. 1930 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 50 წლის მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს იგი იყო აჭარის, რიონჰესის კასკადის, ცენტრალური მეენერგო ქარხნისა და სამგორის ჰესების კასკადის მთავარი ინჟინერი. საქართველოს ენერგეტიკის წინაშე დამსახურებისათვის მთავრობის მიერ მიხეილ ნიკოლაიშვილი დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით.

მიხეილ ნიკოლაიშვილის გარდაცვალებით ქართველ ენერგეტიკოსთა საზოგადოებამ დაკარგა სწავლული, საქმისათვის თავდადებული, ჩინებული მოქალაქე. ენერგეტიკის დარგში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდის მანძილზე მიხეილ ნიკოლაიშვილმა მთელი თავის უნარი და ენერგია ახმარდა საქართველოს ენერგეტიკის განვითარებას. ქართველ ენერგეტიკოსთა საზოგადოება არ დაივიწყებს იმ დიდ ამაგს და სამსახურს, რასაც მთელი ცხოვრება მოახმარა მიხეილ ნიკოლაიშვილმა. მიხეილ ნიკოლაიშვილი იყო დიდი ბუნების, შნეკიერი ადამიანი, თანამშრომლებისა და კოლეგების მოსიყვარულე და მეგობარი. ჩვენგან წავიდა დიდებული ადამიანი და ჩინებული მოქალაქე, რომელიც ყველგან და ყველაფერში მისაბაძი ადამიანურობით, გულისხმიერებით, დიდი შრომისმოყვარეობით და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით გამოირჩეოდა. წავიდა ჩვენგან ყველასათვის საყვარელი, თბილი, მშრენველი, თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა ძვირად დადებს მის სიკეთით აღსავსე კაცურკაცობას, მის გულიან ნაღვაწს. ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება თავდადების, სიმტკიცის, თავისი პროფესიისა უსაზღვრო სიყვარულის განსახიერება იყო. წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა გულისტკივილი განშორებისა და ნათელი ხსოვნა ადამიანისა, რომელიც ჩვენს გვერდით შრომობდა, ფიქრობდა და ყველაფერს აკეთებდა საქართველოს ენერგეტიკის უკეთესი მერმისისათვის.

სამუდამო ტკბილ მოგონებად დაგვრჩება მასთან გატარებული წლები, ბევრჯერ გავიხსენებთ და ბევრჯერ ვეტკენს გულს მისი გარდაცვალება ყველას, ვისაც მასთან გვიმუშავია, გულისტკივილი თუ სიხარული განგვიცდია.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, სახელმწიფო კომპანია „საქენერგო“, სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაცია“.

დეპარტამენტ „საქნავთობის“ შპს „ნავთობსამეცნიერო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპროექტო ნაწილის ყოფილი უფროსი
თამაზ კეირაველია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძვირფასო ბავშვებო!

ქალთა საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, თბილისის ზოოპარკში გამართავს ბავშვთა ზეიმს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, თოჯინებისა და ზღაპრის თეატრის, ცირკის მსახიობები. მოეწყობა ბავშვთა ნახატების გამოფენა, ასფალტზე ხატვის კონკურსი, სპორტული შეჯიბრება... ამ დღეს თქვენთვის უფასოდ იმუშავებენ ატრაქციონები.

ბავშვებო! თქვენ გელით უამრავი სიურპრიზი.
მობრძანდით, დაისვენეთ, გახალისდით!
დასაწყისი 11 სთ-ზე.

ყურადღება!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

ხსოვნა

დავით ნოზაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი დავით მაკარის ძე ნოზაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა უაღრესად თავმდაბალი, მხცოვანი და ღვაწლმოსილი შემოქმედი, ღირსეული მოქალაქე თავისი ქვეყნისა, რომელიც გულალალად ემსახურებოდა მშობელ ხალხს, მშობლიურ მწერლობას.

დავით ნოზაძე დაიბადა 1919 წლის 16 აპრილს ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ დავით ნოზაძემ ჭიათურაში დაიწყო შრომითი საქმიანობა. იქვე გააგრძელა სწავლა მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში. 1937 წელს დაამთავრა მუშფაკი და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. სწავლობდა თბილისის ცენტრალურ აეროკლუბში და მიიღო ინსტრუქტორ-პლანერისტის წოდება.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დავით ნოზაძე ფრონტზე აღმოჩნდა და მედგრად ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. ლენინგრადის მისადგომებთან მძიმედ დაიჭრა და ოთხი წელი სამხედრო ჰოსპიტალებში გაატარა.

სწორედ სამხედრო ჰოსპიტალის სარეცელს მიჯაჭვულმა გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1945 წელს თავისი პირველი ლექსი „გამარჯვებული“. მას შემდეგ დავით ნოზაძის ლექსები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა დავით ნოზაძის ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „მშობელო მხარევ“, „დღე გუშინდელი“, „დღე ხვალინდელი“, „შეხვედრა“, „დღე დღევანდელი“, „დღის ბრწყინვალება“, „ომის დღეები“... ამ კრებულებში შესულ ლექსებს წერის სადა და უშუალო მანერა, ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციების ერთგულება, გულწრფელობა, სისადავე, უშუალობა ახასიათებს.

დავით ნოზაძის ცხოვრება მართალი, პატიოსანი, თავმდაბალი მოქალაქისა და შემოქმედის შეურცხვენლად განვლილი გზაა. ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი პირადი თვისებები — კაცურკაცობა, მოყვასის სიყვარული, სისპეტაკე, სიკეთე მისივე ლექსების მარადიული მოტივი გახდა.

დავით ნოზაძეს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუგდია კალამი ხელიდან. ამის დასტურია თუნდაც შარშან გამოცემული პოეტური კრებული „საუკუნე“, რომელიც პოეტის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ დავით ნოზაძე — მშვენიერი მოქალაქე და პოეტი.

საქართველოს მწერალთა კავშირი.



ესტატე კვიციანი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი ესტატე სიდოს ძე კვიციანი.

დაიბადა 1912 წელს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგაც იმყოფებოდა ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე. იყო მესტიის რაიონის მთავარი ექიმი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი.

ბატონი ესტატე გამოირჩეოდა მაღალი ზნეობრივი თვისებებით და საქმისადმი დიდი სიყვარულით. უანგაროდ ეხმარებოდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანებს, რის გამოც დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. დაჯილდოებული იყო მთავრობის მედლებითა და ქების სიგელებით.

წავიდა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, რომლის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ იცოცხლებს ახლობლების, მეგობრებისა და მრავალრიცხოვანი მადლიერი ადამიანების მეხსიერებაში.

მეგობრები.

მეუღლე ლიზა, შვილები თამარი, გულიკო, თენგიზი, თამაზი, სიძეები რობერტ მაღლაკელიძე, სოსო წულუკიანი, კახა მახათაძე, რატი კოვზირიძე, რძლები მანანა სოლოღაშვილი, მაია ჭოლოკავა, შვილიშვილები ნატო, ხათუნა, გოგა, ბექა, ირაკლი, ლუკა, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ესტატე კვიციანი
გამოსვენება 29 V, 3 ს. ანტონოვსკაიას 9.

საქართველოს მსს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი
ესტატე კვიციანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს განათლების სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს ქალბატონ მანანა კობახიძეს ძმისშვილის
ქეთევან ჯიმშერის ასულ კობახიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: რუსუდან ლორთქიფანიძე, ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.